ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი, 2017 №247 (7481) ფასი: 50 თეთრი


## გიორგი გაჩეჩილაძე: „პარლამენტს ერთპარტიული კონსტიტუცია არ მიუღია“



გვ.2


17 ოქტომბრიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი ნარსულში

ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# სააკაშვილმა პოროშენკოს გადადგომა მოითხოვა



გვ.2

## უკრაინის რადას წინ ოპოზიციამ კარვები გაშალა

## „კიევში სააკაშვილის წარმატება ავტომატურად გამოიწვევს ნაცმოძრაობის გაძლიერებას“

გვ.3



თორნიკე შარაშენიძე: „წინ ყველაზე უინტერესო არჩევნებია“

## „ომბუდსმენი ხელისუფლებისთვის არაკომფორტული უნდა იყოს“

ლია მუხაშავრია: „პარლამენტში შეეცდებიან, ისეთი სახალხო დამცველი დაგვინიშნონ, რომელიც მათ მიმართ მაამებლურად იქნება განწყობილი“



გვ.4

## ევროპარლამენტში აფხაზეთის მხარდამჭერი ჯგუფი იქმნება



გვ.5

„როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა ქარაქუცულია, იქ ნუღარ გვიკვირს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის წარმომადგენლები თავისუფლად დადიან აქეთ-იქით“

### სამართალი

გვ.7

ლავას ოჯახმა ქვეყანა დატოვა



კოტე იოსელიანი: „სასამართლომ ვერ შეძლო პოლიტიკური პროცესებისგან დისტანცირება“




ლარსის გამშვებ პუნქტზე ახალგაზრდა ტერორისტი ქალი დააკავეს





ნანა კაკაბაძე პროკურატურაში დაიბარეს

### ეკონომიკა

გვ.6



„საკაბელო ოპერატორებს, რომლებთანაც მოლაპარაკება ვერ შედგება, პირველი დეკემბრიდან ქართული არხების ტრანსლირების უფლება შეეზღუდებათ“

პარლამენტის ორივე შენობის რეკონსტრუქცია–რეაბილიტაციისთვის 4.5 მილიონ ლარამდე დაიხარჯება





„აირზენას“ დამფუძნებელი თბილისში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობის დაწყებას ვერ ახერხებს

თემურ ჭყონია:



„საქართველოს განვითარებისთვის მხოლოდ კომაროვის განათლება არ ჰყოფნის“


ISSN 1987-9385

9 771987 938006


**4** გასულ წელს მეტროს შემოსავალმა 51,78 მილიონი ლარი შეადგინა

**3** ორი წლის განმავლობაში სკოლებში ძალადობისა და ბულინგის 4.431 შემთხვევა დაფიქსირდა

**4** საქართველოს საჰაერო სივრცეში თავისუფალი მარშრუტები დაინერგა

**8** გახდება თუ არა კავკასია აშშ-სა და ირანს შორის შეჯახების ადგილი?

# სააკაშვილმა პოროშენკოს გადადგომა მოითხოვა

## უკრაინის რადას წინ ოპოზიციამ კარვები გაშალა

შორენა მარსაგიშვილი

**უკრაინის დედაქალაქ კიევში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიერ დაანონსებული აქცია პოლიციასთან შეტაკებებით და რადას წინ კარვების გაშლით დასრულდა.**









კარვების გაშლასა და შეტაკებებს წინ განცხადებები უძღოდა, უფრო ადრე კი უკრაინის დედაქალაქში გაძლიერებული უსაფრთხოების ზომები იქნა მიღებული, პოლიციის მიერ გადაიკეტა ქალაქის ცენტრალური ქუჩები. ამის მიუხედავად, ოპოზიციამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსთან მიტინგის გამართვა მაინც შეძლო.

აქციას უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოც გამოეხმაურა. მან სამართალდამცავებს სთხოვა, ყველაფერი გაეკეთებინათ, რომ აქცია მშვიდობიანად ჩატარებულიყო.

– გაგებით ვეკიდები აქციებს და პატივს ვცემ მათ მონაწილეებს. გარდა ამისა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ვითხოვ სამართალდამცველებისგან, აქციის მშვიდობიანად ჩატარება უზრუნველყონ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის დაშვება, რომ უპასუხისმგებლო პოლიტიკანებმა ტრაგიკული მოვლენები გაიმეორონ, რომლებიც 31 აგვისტოს მოხდა და რის შედეგადაც ეროვნული გვარდიის ოთხი წევრი დაიღუპა, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

კიევში დაწყებულ საპროტესტო აქციაში სააკაშვილის რუხ-თან ერთად მემარჯვენე სექტორი, ბატკივშინა, სამოპომოშჩი, სამოქალაქო ოპოზიცია და კიდევ რამდენიმე ორგანიზაციაც მონაწილეობს.

მათ სამი მოთხოვნა ჰქონდათ: სადეპუტატო ხელშეუხებლობის გაუქმება, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა და ანტიკორუფციული სასამართლოს შექმნა.

ამ მოთხოვნებს აქციის მიმდინარეობისას კიდევ ერთი მოთხოვნა დაემატა.

– პეტრო პოროშენკო უნდა გადადგეს! – განაცხადა აქციაზე საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

პოროშენკო გადადგომას, სავარაუდოდ, არ აპირებს, მაგრამ რაღაც დათმობაზე აქციის პირველივე დღეს წავიდა.

უკრაინული მედიის ცნობით, პეტრო პოროშენკომ რადას საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა, რომლის მიხედვითაც 2020 წლის 1 იანვრიდან უკრაინაში სადეპუტატო ხელშეუხებლობა უნდა გაუქმდეს.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება რადას საიტზე გუშინ, 17 ოქტომბერს, დარეგისტრირდა.

პოროშენკო ასევე გამოდის ინიციატივით, კანონიდან ამოღებულ იქნეს ნორმა, რომლის მიხედვითაც, რადას თანხმობის გარეშე დეპუტატი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

უკრაინული მედიის ცნობითვე, მმართველი ძალა დათანხმდა, ქვეყანაში შემოღებულ იქნეს ანტიკორუფციული სასამართლო.

– შესაბამისი კანონპროექტი უკვე გაგზავნილია ვენეციის კომისიაში და, როგორც კი მას პრეზიდენტი პოროშენკო განსახილველად რადაში შეიტანს, დეპუტატები განიხილავენ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში უკრაინის რადას სპიკერმა ანდრეი პარუბიმ.

ეს დათმობები აქციის მონაწილეებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მათ განაცხადეს, რომ არ დაიშლებიან, სანამ ხელისუფლება მათ ყველა მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს.

აქცია თავიდან შედარებით მშვიდ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც სამართალდამცავები მომიტინგეების მოედნიდან გაყვანას შეეცადნენ. ამას მომიტინგეების მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვა.

პოლიცია რამდენიმე მომიტინგის დაკავებას შეეცადა. შეტაკებების შედეგად რამდენიმე მომიტინგე და პოლიციელი დაშავდა. სამართალდამცავებმა ცრემლსადენი გაზი გაუშვეს.

ცრემლსადენმა გაზმა შედეგი ვერ გამოიღო. აქციის მონაწილეები არ დაშლილან. მეტიც, მათ რადას მიმდებარე ტერიტორიაზე კარვების გაშლა დაიწყეს.

კარვები თავდაპირველად გრუშევსკის ქუჩაზე გაშალეს. კარვების მეორე ნაწილი კონსტიტუციის მოედნის მოპირდაპირე ქუჩის მხარეს გაიშალა.

სიტყვით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა აქციის მონაწილეებს მოუწოდა, არ დაიშალონ მანამ, სანამ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ შეასრულებს.

– ჩვენ მიერ 3 მოთხოვნიდან ხელისუფლებამ უკვე 2 შეასრულა. აქ დავრჩეთ მანამ, ვიდრე სამივე მოთხოვნა არ შესრულდება, – განაცხადა აქციაზე გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა პოროშენკოს გამო სინანული გამოთქვა. მისი თქმით, უკრაინის მოქმედმა პრეზიდენტმა ხალხს იმედები გაუცრუა.

– უკრაინელებმა იანუკოვიჩი კუჩმაზე მეტად შეიძულეს, ახლა კი პოროშენკო უფრო მეტად სძულთ, ვიდრე იანუკოვიჩი. ამ ორ ადამიანს შორის განსხვავება ისაა, რომ იანუკოვიჩისგან კარგს არავინ ელოდა, პოროშენკომ კი ტკბილი დაპირებებით გააბრუა ხალხი, – აღნიშნა ჩვენებურმა.

აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას კიდევ ერთი ულტიმატუმი წაუყენეს. მათ სამართალდამცავი ორგანოებისგან დერეფნის გაკეთება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში რადას შტურმით აღებით დაიმუქრნენ.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „პარლამენტს ერთპარტიული კონსტიტუცია არ მიუღია“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის უმრავლესობის წევრი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე, პრეზიდენტ მარგველაშვილის პოლიტიკურ მოტივაციებსა და ეშმაკობებზე საუბრობს.**

***– ბატონო გიორგი, განაცხადეთ, რომ პრეზიდენტის ვეტო კონსტიტუციის ცვლილებებთან დაკავშირებით პოლიტიკური მოტივაციით იყო განპირობებული. რა პოლიტიკურ მოტივაციაზე საუბრობთ? პრეზიდენტს რა პოლიტიკური მოტივაცია ამოძრავებდა?***

– პრეზიდენტის შენიშვნები რომ გაგვეზიარებინა, 2020 წელს სუფთა პროპორციულ სისტემაზე რომ გადავსულიყავით, მაჟორიტარული სისტემა არ ყოფილიყო, ყველა მცირე პოლიტიკურ სუბიექტს შეექმნებოდა პრობლემები ბარიერის გადალახვისთვის. აქედან გამომდინარე, ნაცმოძრაობისა და ევროპული საქართველოს, ანუ ნაცმოძრაობა-2-ის ინტერესია, უალტერნატივო ოპოზიციურ ძალებად დარჩნენ. მათ აქვთ ოცნება, გარკვეული პერიოდის შემდეგ, თუ პოლიტიკურ ასპარეზზე სხვა არავინ იქნება, მათით მოხდეს ხელისუფლების ჩანაცვლება. პარლამენტში მხოლოდ ნაცები და დღევანდელი მმართველი გუნდი იქნება, მთავრობის დაკომპლექტების დროს მოითხოვონ თანამდებობები.

***– ამ ორი გუნდის შეთავსება შესაძლებელია?***

– შეუთავსებლის შეთავსება შეუძლებელია. ეს პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს. ჯერ ერთი, შეუძლებელია ნაცმოძრაობის პოლიტიკური შეთანხმება „ქართულ ოცნებასთან“, რომელმაც დაამხო ნაცრეჟიმი. ყოვლად წარმოუდგენელია „ქართულ ოცნებასა“ და კრიმინალურ დაჯგუფებას შორის კოალიციის შექმნა. ამიტომ ასეთ ვითარებაში მთავრობა ვერ დაკომპლექტდება და პოლიტიკური კრიზისი წარმოიშობა. ასეთ ვითარებაში კონსტიტუციაში ცვლილებას ვერავინ შეიტანს, რადგან პარლამენტში საკმარისი რაოდენობის ხმა არავის ექნება. იქნება გაუთავებელი პოლიტიკური კრიზისი და ბოლოს დაპირისპირებაში შეიძლება გადაიზარდოს.

***– სამოქალაქო დაპირისპირებაში?***

– დიახ. არ დაგავიწყდეთ, რომ გარე ფაქტორიც არის. ჩრდილოეთიდან ჩასაფრებული არიან. ბუნებრივია, ჩრდილოელი მეზობელი ამ კრიზისს თავის სასარგებლოდ გამოიყენებს და ის პერსპექტივა, რომელიც სახელმწიფოს შევუქმენით მისი გეოპოლიტიკური უსაფრთხოების, განვითარებისა და ეკონომიკის წინსვლის თვალსაზრისით, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება.

***– ეკონომიკის თვალსაზრისით რა პერსპექტივაზე საუბრობთ?***

– მხედველობაში მაქვს ანაკლიის პორტი, აბრეშუმის ახალი გზა, გაზსადენი, შაჰ-დენიზი-2 და სხვა. ეს არის უზარმაზარი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პროექტები. ასევე ჩვენ ვართ ევროკავშირთან ასოცირებული წევრები და კრიზისის შემთხვევაში ევროკავშირში გაწევრიანება სადამდე გადაიდება, ეშმაკმა იცის. პოლიტიკური კრიზისი, მით უმეტეს, თუ სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზრდება, ჩაიშლება საქართველოს ნატოსთან ურთიერთობა, რომელიც ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება.

***– ამ დროს ნაცმოძრაობისა და ნაცები-2-ის ცხოვრების მიზანი და პოლიტიკური მრწამსი ნატოსა და ევროატლანტიკურ ალიანსში საქართველოს მიღებას უკავშირდება. რატომ უნდა შეუშალონ ხელი ამ პროცესს?***

– „ახალ თაობასთან“ ათეული წლებია ვთანამშრომლობ. ყოველთვის ვამბობდი (მაშინაც კი, როცა ნაცმოძრაობა მოვიდა ხელისუფლებაში), რომ ნაცმოძრაობა არის რუსული პროექტი. ვინ რას აცხადებს, არაფერს ნიშნავს. მთავარია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც რუსეთს უკავშირდება. მთლიანად რუსეთისთვის გადაცემული ეკონომიკა, სტრატეგიული ობიექტები, საქართველოს ტერიტორიაზე დაბრუნებული სამხედრო ბაზები, რომლებიც შევარდნაძის დროს იქნა გაყვანილი. ვინ რას ლაპარაკობს, რა მნიშვნელობა აქვს. ნათქვამია, ენას ძვალი არ აქვსო.

***– რატომ ფიქრობთ, რომ პრეზიდენტის მხრიდან რაც კეთდებოდა კონსტიტუციის ცვლილებებთან დაკავშირებით, ემოციებზე იყო აგებული? არ უშვებთ, რომ პრეზიდენტს შეიძლება შეგნებულად ემოქმედა, მით უმეტეს,***



***რომ მასთან პარტიების ნაწილი იკრიბებოდა?***

– რამდენიმე დღის წინ უმრავლესობაში შემავალი პარტიების – ოცნების, მწვანეების, სოციალ-დემოკრატების, მრეწველებისა და კონსერვატორების წარმომადგენლები პრეზიდენტს შეხვდნენ. დახურული შეხვედრა გვქონდა. ჩვენ მიერ წარმოდგენილ ვარიანტზე რომ ვლაპარაკობდით, ის

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „პარლამენტს ერთპარტიული კონსტიტუცია არ მიუღია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ყველაფერს ეთანხმებოდა, ნორმალური და კარგიაო.

***– პრეზიდენტი თქვენს პოზიციას დაეთანხმა და ვეტო მაინც დაადო?***

– დიახ, გვეთანხმებოდა, კარგია, მოსაწონიაო.

***– მაშინ შემდეგ რა მოხდა?***

– 2019 წელს საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. ვფიქრობ, ძაღლის თავი აქ არის დამარხული. მარგველაშვილმა იცის, რომ „ქართული ოცნება“ მას მხარს აღარ დაუჭერს.

***– მარგველაშვილი დასაყრდენს იმზადებს?***

– არ ვიცი, თუმცა, თუ დამოუკიდებლად დააპირებს კენჭისყრას, ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის მხარდაჭერა დასჭირდება. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი მარგველაშვილს მხარში რომ დაუდგეს, თვითონაც შესაბამისად უნდა მოიქცეს. აქედან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებების ჩვენს ვარიანტს.

***– ამის გამო ხომ არ უწოდეთ მარგველაშვილის ქმედებებს პრეზიდენტის ეშმაკობები? ერთ-ერთი ეშმაკობა ეს ხომ არ არის?***

– დიახ, ეს არის. პრეზიდენტი ღიად არ აცხადებს თავის ზრახვებს. პრეზიდენტს ჩაფიქრებული ჰქონდა, ამ მოტივით ოპოზიციური პარტიების რაც შეიძლება მეტი მხარდაჭერა მოეპოვებინა, ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ არ წასულიყო. ამით სახელმწიფოს რა ზიანი მიადგა, ამაზე არ უფიქრია.

***– პრეზიდენტის საპარლამენტო მდივან ანა დოლიძეზეც იყავით ნაწყენი. რატომ?***

– რამდენიმე კითხვა დავუსვი და არ მიპასუხა. პრეზიდენტის წარმომადგენელი პარლამენტში, არა მარტო საქართველოში, საქართველოს გარეთაც, როგორც ნაცმოძრაობა, ზუსტად ისე იმეორებს ერთსა და იგივე ფრაზას, რომ საქართველოს დღევანდელმა პარლამენტმა ერთპარტიული კონსტიტუცია მიიღო, რაც, რა თქმა უნდა, სიყალბეა. უმრავლესობაში ხუთი პარტია ვართ გაერთიანებული. ამ ხუთ პარტიას სერიოზული დისკუსიები გვქონდა, რომ შევთანხმებულიყავით.

***– თუმცა, უმრავლესობაში შემავალი პარტიები ბლოკის სახით არ ხართ წარმოდგენილი „ოცნებასთან“. არჩევნებზე ერთიანი სიით რადგან გახვედით, ამიტომ ამბობენ, ერთპარტიული დოკუმენტიაო.***

– სამართლებრივ საკითხს რა მნიშვნელობა აქვს. ბლოკად იქნები ჩამოყალიბებული, კოალიციად, თუ ისე იქნები, რა მნიშვნელობა აქვს? უმრავლესობაში არიან პარტიები, რომლებსაც თავისი პოლიტკომიტეტები აქვთ ჩამოყალიბებული და თავისი ხმა აქვთ. ბლოკის სახით რომ ვიყოთ, რა განსხვავება იქნება. ეს, უბრალოდ, მოგონილი მიზეზია. მთავარი მიზანია, დღევანდელ ხელისუფლებას დაბრალდეს, თითქოს ერთპარტიული დოკუმენტი მიიღო. უმრავლესობაში შემავალმა ხუთმა პარტიამ ყველაფერი გავაკეთეთ, ხუთივე პარტიისთვის სასარგებლო კონსტიტუცია მიგვეღო.

***– თქვენი რა წინადადებები გაითვალისწინეს?***

– მაგალითად, მე 2020 წელს პროპორციულ სისტემაზე გადასვლისა და მაჟორიტარული სისტემის გაუქმების წინააღმდეგი ვიყავი.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ მცირე პარტიებისთვის მაჟორიტარული სისტემა ხმების მობილიზების საშუალება იქნება. საზოგადოებაში პიროვნებებისადმი ნდობა უფრო მეტია, ვიდრე პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ. თუ ადამიანი პიროვნებას იცნობს, მხარს უჭერს. შეიძლება რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ვერ გაიმარჯვოს, მაგრამ იქ ხმების მობილიზებას მაინც მოახდენს. გარდა ამისა, მე და უმრავლესობაში შემავალი სხვა პარტიებიც ითხოვდნენ, ბარიერი დაწეულიყო, რომ მცირე პარტიებს ბარიერის გადალახვის საშუალება მისცემოდათ.

***– ბარიერის მთლიანად გაუქმებაზეც ხომ არ იყო საუბარი?***

– არა, ეგ ვიღაცამ შემოაგდო. შეიძლება, ოპოზიციურმა პარტიებს უნდოდათ, მთლიანად გაუქმებულიყო.

***– ახლა მიღებულ კონსტიტუციას თუ აქვს რაიმე პრობლემა?***

– იდეალური არაფერია, მაგრამ, იმასთან შედარებით, რაც იყო, პრობლემაზე საუბარი არ შეიძლება. მთავარია ეკოლოგიური ნაწილი, 37-ე მუხლი, რომელიც 1995 წელს მე დავწერე, შევინარჩუნეთ და პირიქით გავაძლიერეთ.

***– ოპოზიციისთვის რა გაკეთდა ამ კონსტიტუციაში?***

– ყველაფერი გავაკეთეთ, რომ საქართველოს პოლიტიკური სპექტრი გაგვეძლიერებინა. ვისაც არ აწყობს საქართველოში პოლიტიკური სპექტრის გაძლიერება, ნაცმოძრაობაა. სუფთა პროპორციულ სისტემაზე მათი მოთხოვნის მიზანი მცირე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ჩამოშორება იყო. უნდოდათ, მხოლოდ თვითონ დარჩენილიყვნენ პოლიტიკურ არენაზე. ჩვენ გარდამავალი ეტაპისთვის, 2020 წლისთვის, მაჟორიტარული სისტემა დავტოვეთ და ბარიერი დავწიეთ. 2024 წლის არჩევნებს პოლიტიკური სპექტრი უფრო მომზადებული შეხვდება. იმედი მაქვს, უფრო ფართო პოლიტიკური სპექტრი ჩამოყალიბდება და ქვეყანა უმტკივნეულოდ გადავა სუფთა პროპორციულ სისტემაზე.

***– თქვენ აცხადებთ, ოპოზიციურ სპექტრს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით ბევრი რამ მივეცითო. ნუთუ ვერ იგრძნო ეს ოპოზიციურმა პოლიტიკურმა სპექტრმა?***

– როგორ ვერ იგრძნო.

***– მაშინ პრეზიდენტთან რატომ იკრიბებოდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები? ნაციონალების გარდა, სხვებიც იყვნენ.***

– მწვანეთა პარტია უმეტესად ოპოზიციაში იყო ხოლმე. ნაცმოძრაობამ ისეთი სიტუაცია შექმნა რუსთავი 2-ის საშუალებით, ისე გამოდიოდა, თუ არ მოხვდებოდნენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერთა გაერთიანებაში, ოპოზიციური სპექტრიდან გარიყული აღმოჩნდებოდნენ. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ არაფერს კარგავდნენ. თავისი გაინაღდეს, ბარიერი დავწიეთ და მაჟორიტარული სისტემა შეინარჩუნეს და ოპოზიციურ ტალღაზეც დარჩნენ. თუ ნაცმოძრაობას გაერიდებოდნენ, მაშინ აღარც ტელევიზია გააშუქებდა. მე მილაპარაკია მათთან და ყველა კმაყოფილი იყო იმ ცვლილებებით, რაც გავაკეთეთ.

***– კონკრეტულად რას გეუბნებოდნენ?***

– ამას ვერ გეტყვით.

# „კიევში სააკაშვილის წარმატება ავტომატურად გამოიწვევს ნაცმოძრაობის გაძლიერებას“

## თორნიკე შარაშენიძე: „წინ ყველაზე უინტერესო არჩევნებია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, რამდენიმე დღე რჩება არჩევნებამდე, გვესმის შეფასებები, რომ გარემო ძალიან ცუდია. ოპოზიციური პარტიები აკეთებენ განცხადებებს, რომ ისინი არათანაბარ პირობებში იმყოფებიან, რომ მათ კანდიდატებზე მიდის ზეწოლა და ასე შემდეგ. ამ ყველაფერს კი ოცნების კანდიდატი კახი კალაძე ასე პასუხობს – წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. როგორია თქვენი შეფასებები არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე?***

– ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უინტერესო და ყველაზე უფრო პროგნოზირებადი არჩევნები, წინასწარ იცის ყველამ, რომ კალაძე პირველ ტურში თუ არა, მეორე ტურში გაიმარჯვებს. სადღაც შეიძლება მეორე ტურიც გახდეს საჭირო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს რეალობას არ შეცვლის და წავალთ ახალ წრეზე. კიდევ ერთხელ გადაიბარებს „ქართული ოცნება“ აბსოლუტურად ყველა რგოლს.

***– რამდენად არაჯანსაღია გარემო?***

– გარემო არაჯანსაღია იმიტომ, რომ ოპოზიციაა სუსტი. ეს პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ოპოზიციის ბრალია, მაგრამ მეორე რიგში იმის ბრალია, რომ ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ მას ჯანსაღი ოპოზიცია სჭირდება და კი არ უნდა ჩაკლას, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს მის განვითარებას.

***– ოპოზიციის ერთი ნაწილი ხელისუფლებას ადანაშაულებს იმაში, რომ ოცნება ყველანაირად ცდილობს, ბოკერიას ფრთა დააწინაუროს და სწორედ ის გავიდეს მეორე ადგილზეო. ამის თაობაზე რას ფიქრობთ? ამჩნევთ ამის ნიშნებს?***

– ზოგადად შეთქმულების თეორიების მოყვარული არა ვარ. არ ვიცი, რა მოტივაცია უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას? ძირითადად გვესმის შეფასებები, რომ ფარული გარიგებაა მიღწეული ბოკერიასა და ივანიშვილს შორის. არის თუ არა მიღწეული გარიგება, ნამდვილად არ ვიცი. თბილისში ხელისუფლებას სულ სხვა ამოცანა აქვს.

მათი ამოცანაა, რომ ელისაშვილი არ გავიდეს მეორე ადგილზე, რადგან თუ მეორე ტური გახდა საჭირო, ელისაშვილს აქვს რაღაც შანსი კალაძის დამარცხების, განსხვავებით ყველა სხვა კანდიდატისგან. ასე რომ, თბილისში სწორედ ამაზეა ფოკუსირებული ხელისუფლება. რამდენად გაიყვანს ოცნება მეორე ადგილზე ბოკერიას ევროპულ საქართველოს, ეს რთული სათქმელია. მით უმეტეს, რეგიონებში ბოკერიას პარტიას გაცილებით ნაკლები მხარდაჭერა აქვს, ვიდრე თბილისში და თბილისში იმაზე ნაკლები მხარდაჭერა აქვს, ვიდრე ნაცმოძრაობას.




***– ოპოზიციური პარტიის ლიდერებისგან გვესმის შეფასებები, რომ დაახლოებით 100 ათასი ადამიანი ჰყავს ოცნებას მობილიზებული, რათა ზეგავლენა მოახდინოს საარჩევნო შედეგებზეო. არის ის სიტუაცია, რომ ოცნებას მსგავსი ქმედებები დასჭირდეს?***

– 100 ათასი ადამიანი რომ გყავს შენს კმაყოფაზე, ადმინისტრაციული რესურსიანად, ეს გაცილებით მეტი გამოდის. გამოიყენებ, რატომაც არა. მე მგონი, ძალიან დიდი დრო უნდა გავიდეს, რომ საქართველოში მოვიდეს ისეთი პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში, რომელიც იტყვის, რომ არ გამოიყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. აქამდე მისვლას ძალიან დიდი ხანი სჭირდება. ნაციონალების შემდეგ რადიკალური გაუმჯობესება არ გვიგრძნია. გაუმჯობესება არის, მაგრამ მცირე.

***– დასჭირდება არჩევნების შედეგების გაყალბება ოცნებას?***

– გაყალბება წესით არ უნდა დასჭირდეს. ივანიშვილი ხვდება და დარწმუნებულიც არის იმაში, რომ გაყალბება არაფერში არ სჭირდება, მაგრამ აუცილებლად გამოჩნდება რამდენიმე ადგილობრივი ყეყეჩი აქტივისტი, რომელიც შეეცდება დაამტკიცოს, რომ აი, რამდენს აკეთებს ბატონი ბიძინასთვის და დიდი შანსია, რომ ვიღაც-ვიღაცებმა ადგილებზე გაყალბება მოინდომონ.

***– ფიქრობთ, რომ ყველაფერი მშვიდ ვითარებაში ჩაივლის?***

– იმედი ვიქონიოთ, თუმცა ბოლო პერიოდია ჩვენ ვხედავთ ნაცმოძრაობის გააქტიურებას.

***– ამას რითი ხსნით?***

– ეს ალბათ სწორი სტრატეგიაა. რა თქმა უნდა, ამათ გამარჯვების შანსი არა აქვთ, მაგრამ იმის შანსი მაინც აქვთ, რომ მოახდინონ ჯერ ერთი, თავიანთი ამომრჩევლის მობილიზება, რაც უკვე მნიშვნელოვანი ფაქტორია და ასევე შეცდომები დააშვებინონ ხელისუფლებას და ანერვიულონ.

***– ამით რის მიღწევას ცდილობს ნაციონალური მოძრაობა?***

– ისინი ცდილობენ დაანახონ ხელისუფლებას, რომ შესაძლოა მათ მოსახლეობის უმრავლესობა არ უჭერს მხარს, მაგრამ რაღაც ძალა ისევ აქვთ. მობილიზებული ჰყავთ აქტივისტები ყოველთვის და რაღაც ძალა გააჩნიათ. მათი მიზანია დაანახონ ყველას, რომ ამ ეტაპზე მეორე ძალად ისევ ნაციონალური მოძრაობა რჩება.

***– ხომ არ დაინახა იმის საფრთხე ნაცმოძრაობამ, რომ სწორედ ევროპული საქართველო ჩაანაცვლებს და დაკარგავს მთავარი ოპოზიციის ტიტულს?***

– ეს მიზანი თუ აქვთ, ეს უფრო მეორადი მიზანია, რადგან განსაკუთრებით რეგიონებში მათ ამის საფრთხე ნამდვილად არ ემუქრებათ. თბილისში თუ უახლოვდება ხოშტარიას რეიტინგი უდუმაშვილის რეიტინგს, ეს იმის ხარჯზეა, რომ თბილისში ნაცმოძრაობა ყველაზე ნაკლებად უყვართ. მას მერე, რაც პირადად სააკაშვილმა მოიგო თბილისში არჩევნები, იმის მერე ნაცმოძრაობას თბილისში არჩევნები აღარ მოუგია.

***– ნაცმოძრაობა ცდილობს ამომრჩეველს თავი შეახსენოს თუ ემზადებიან სერიოზული ქუჩის აქციების დასაწყებად?***

– ეს დასჭირდათ წინასაარჩევნოდ, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, ნუ დავივიწყებთ ერთ ძალიან მნიშვნელოვან მომენტს, უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე ადგილობრივი არჩევნებია.

***– და რა არის ეს უფრო მნიშვნელოვანი?***

– გუშინ სააკაშვილმა კიევში ხალხმრავალი აქციები დაიწყო. როგორც ჩანს, ნაცმოძრაობას დიდი იმედი აქვს, რომ მიხეილ სააკაშვილი კიევში რაღაცას მიაღწევს. დღეს უფრო მნიშვნელოვანია, რა მოხდება კიევში, ვიდრე ის, რას აკეთებს აქ კალაძე ან ნაცმოძრაობა.

***– რატომ გაავლეთ ეს პარალელი? თუკი იქ წარმატებას მიაღწია სააკაშვილმა, აქ ნაცმოძრაობა გაძლიერდება?***

– სააკაშვილის წარმატება, ეს ავტომატურად ნიშნავს ნაცმოძრაობის აქ გაძლიერებას და ოცნების დემორალიზაციას. მე ძალიან კარგად მახსოვს, როცა სააკაშვილი შეიჭრა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით უკრაინის საზღვარზე, „ქართული ოცნების“ რამდენიმე ცნობილი აქტივისტი აქ სერიოზულად შეშინდა და ფეისბუქზე წერდნენ, ვაიმე, რა გვეშველება, ჩვენ ვინ დაგვიცავსო.

# ორი წლის განმავლობაში სკოლებში ძალადობისა და ბულინგის 4.431 შემთხვევა დაფიქსირდა




ბოლო ორი წლის განმავლობაში სკოლებიდან მიმართვიანობის 4.431 შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ან მოძალადე ბავშვი იყო.

ამის შესახებ გუშინ განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომელმაც სკოლებში ბავშვთა ძალადობისა და ბულინგის შესახებ ჩატარებულ კვლევაზე კომენტარი გააკეთა.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, აღნიშნულიდან 500-ზე მეტი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია სოციალური მომსახურეობის სააგენტოშია გადაგზავნილი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებთან დაკავშირებით ბავშვებთან ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მუშაობს.

– 2013 წლიდან სისტემატურად ვაწარმოებთ სიტუაციის შესწავლას, მონაცემების დამუშავებასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. ეს გადაწყვეტილებები უკავშირდება როგორც პრევენციულ, ისე რეაგირების საკითხებს. ძალადობის აღმოსაფხვრელად სკოლებში ბევრი პროგრამა ამოქმედდა. ასევე ჩვენ ვმუშაობთ მასწავლებლებთან ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, თუ როგორ უნდა მოახდინონ დესტრუქციული ქცევის მოსწავლეების დროულად იდენტიფიცირება და როგორ უნდა იყოს რეაგირება. იგივე ტრენინგები გვაქვს ჩვენ სკოლის ადმინისტრაციებთან დაკავშირებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემებში, – განაცხადა ლია გიგაურმა.

მისივე თქმით, განათლების უწყების მიერ დღემდე გადადგმული ნაბიჯები საკმარისი არ არის, რადგან გარკვეული მიმართვის ფორმები და აგრესია საზოგადოებაში გამჯდარია.

– მასწავლებლებიც არიან იმ საზოგადოების წევრები, რომლებიც ნაკლებად იცნობენ ძალადობის ფორმებს. ძალიან ხშირად ისეთი ლექსიკა, რომელიც კვლევაშია გამოყენებული, მათთვის ჩვეულებრივი და ყოველდღიური სასაუბრო ლექსიკაა, – დასძინა განათლების მინისტრის მოადგილემ.

მოსწავლეთა 13.2% და სკოლის თანამშრომელთა 4% ბავშვის მიმართ ძალადობად არ მიიჩნევს ცემას, მოსწავლეთა 37% და სკოლის თანამშრომელთა 12.7% ბავშვის მიმართ ძალადობად არ მიიჩნევს წამორტყმას, მოსწავლეთა 42.5% და სკოლის თანამშრომელთა 13.9% ძალადობად არ მიიჩნევს ყურის აწევას.

ამის შესახებ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სპეციალური ანგარიშის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა“ წარდგენისას განაცხადა.

# „ომბუდსმენი ხელისუფლებისთვის არაკომფორტული უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა





## ლია მუხაშავრია: „პარლამენტში შეეცდებიან, ისეთი სახალხო დამცველი დაგვინიშნონ, რომელიც მათ მიმართ მაამებლურად იქნება განწყობილი“

**ადამიანის უფლებადამცველი, ადვოკატი ლია მუხაშავრია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ახალი სახალხო დამცველის არჩევნებსა და სავარაუდო კანდიდატებზე საუბრობს.**

***– ქალბატონო ლია, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ნოემბრის ბოლოს ახალი სახალხო დამცველი გვეყოლება. როგორც ცნობილია, უჩა ნანუაშვილს ვადა დეკემბერში ეწურება. რას შეიძლება უკავშირდებოდეს ხელისუფლების ეს დამოკიდებულება?***

– ძალიან სამწუხაროა, რომ სახალხო დამცველზე პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან ასეთი სახის თავდასხმები ხორციელდება. პოლიტიკური ისტებლიშმენტი სახალხო დამცველის მიმართ პატივისცემისა და მის მიმართ ძალიან ღირსეული დამოკიდებულების მაგალითს უნდა იძლეოდეს. როდესაც საწინააღმდეგოს ვხედავთ, ეს, პირველ რიგში, ძირის უთხრის თავად ადამიანის უფლებათა პატივისცემას ამ ქვეყანაში. რასაკვირველია, ეს ძალიან უარყოფითად აისახება სახელმწიფოს იმიჯზე, ზოგადად. დარწმუნებული ვარ, რომ უჩა ნანუაშვილი კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიულად ასრულებს თავის მოვალეობას.

მართალია, მას ახლა კონსტიტუციურადაც შეუზღუდეს შესაძლებლობა, რომ მეორე ვადითაც ყოფილიყო არჩეული სახალხო დამცველის პოზიციაზე, მაგრამ ეს განცხადება, რომელიც ახლა გავიგეთ პარლამენტის თავმჯდომარისგან, აშკარად უპატივცემულობის გამოხატულებაა მისი საქმიანობის, თანამდებობისა და კომპეტენციის მიმართ, რაც, ვფიქრობ, ევროპული ორიენტაციის სახელმწიფოსთვის შეუფერებელია. არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულების გამოვლენა.

***– ბოლო დროს უჩა ნანუაშვილის განცხადებებმა ხელისუფლება გააღიზიანა?***

– სახალხო დამცველი ორგანული კანონით იმიტომ არის აღჭურვილი, მისი უფლებამოსილებები დეტალურად იმიტომ არის ორგანულ კანონში გაწერილი, რომ ის არ არის ხელისუფლების საამებლად თანამდებობაზე დანიშნული პირი.

***– ნანუაშვილმა განაცხადა, რომ ომბუდსმენი ხელისუფლებისთვის არაკომფორტული უნდა იყოს.***

– აბსოლუტურად ვეთანხმები. თუ სახალხო დამცველი ხელისუფლებისთვის კომფორტული იქნება და ხელისუფლებას დისკომფორტს არ შეუქმნის, მაშინ გამოდის, რომ ის თავის ფუნქციას, რომელიც აკისრია, ღირსეულად ვერ ასრულებს.

სახალხო დამცველი არის პირი, რომელმაც ხელისუფლების მხრიდან ადამიანის ფუნდამენტური და ძირითადი უფლებების დარღვევაზე უნდა გააკეთოს აქცენტი. მისი მთავარი ფოკუსი ადამიანი და მისი უფლებების დაცვა უნდა იყოს. როდესაც სახალხო დამცველი თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს, ეს ხელისუფლებამ, მინიმუმ, ყურად უნდა იღოს და ამით უკმაყოფილება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოამჟღავნოს. თუ გვინდა, რომ ამ ქვეყანაში ადამინის უფლებათა მდგომარეობა ხარისხობრივად რადიკალურად გაუმჯობესდეს, მაშინ, პირველ რიგში, ხელისუფლებამ სწორედ სახალხო დამცველს უნდა დაუგდოს ყური.

მისი ანგარიშები, მისი მოხსენებები, კომენტარები ხელისუფლებისთვის არ უნდა იყოს მხოლოდ გამაღიზიანებელი ფაქტორი, პირიქით, ხელისუფლებამ ყველა ანგარიში უნდა გამოიყენოს, თუ, რა თქმა უნდა, ვითარების გამოსწორება უნდა, ხოლო ასეთი დამოკიდებულება, რომელიც შეუწყნარებლობასა და უკმაყოფილებას გამოხატავს, ჩემთვის ნიშნავს, რომ უჩა ნანუაშვილი ღირსეულად ასრულებს თავის მოვალეობას, ხოლო ხელისუფლებისთვის ნიშნავს, რომ მას არ ესმის და არ უნდა გაიგოს ადამიანის უფლებათა დარღვევის არსი და მნიშვნელობა, მით უფრო, არ აქვს სურვილი, შექმნილი მდგომარეობა გამოასწოროს.

***– სავარაუდო კანდიდატები უკვე სახელდებიან. როგორც კულუარებში ამბობენ, ხელისუფლებაში ამ საკითხზე ერთიანი პოზიცია არ არის. აცხადებენ, რომ სხვადასხვა კანდიდატს ლობირებს სხვადასხვა ჯგუფი, სახელდებიან თამარ ქალდანისა და სოფო ჯაფარიძის კანდიდატურები. როგორ ფიქრობთ, ვინ მოიპოვებს ხელისუფლების ნდობას?***

– პარლამენტის თავმჯდომარის მიერ უჩა ნანუაშვილის საქმიანობის ბოლო შეფასება მაფიქრებინებს, რომ პარლამენტი და მისი თავმჯდომარე შეეცდებიან, ისეთი სახალხო დამცველი დაგვინიშნონ, რომელიც მაამებლურად იქნება განწყობილი და საქმის პროფესიონალი არ იქნება. არ იქნება ისეთი მკვეთრი, როგორიც იყო და არის უჩა ნანუაშვილი. ბოლო დროს ძალიან აქტიურად იღებდა ხმას უჩა ნანუაშვილი, რომელიც მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას იყენებდა, მათ შორის, უცხოეთში ვიზიტების დროს მკვეთრ განცხადებებს აკეთებდა.

***– ამაზე ხშირად აპელირებს ხელისუფლება.***

– ეს არამც და არამც არ უნდა ჩაეთვალოს მას ნაკლად, პირიქით. რაც შეეხება იმ კანდიდატებს, რომლებიც თქვენ დაასახელეთ, მათ შესახებ ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ასეთი წინასწარი განცხადებები მომავალი სახალხო დამცველის მიმართ ცალსახად განაწყობს საერთაშორისო საზოგადოებასა და ქვეყნის შიგნით უფლებადამცველ საზოგადოებას იმისკენ, რომ ძალიან დიდი და მაღალი მოლოდინები არ გვქონდეს მომავალი სახალხო დამცველის საქმიანობის მიმართ.

რასაკვირველია, მე ძალიან მინდა, რომ კარგი, უკეთესი სახალხო დამცველი გვყავდეს და უფრო მეტი გააკეთოს, უფრო მეტი შედეგები ჰქონდეს და უფრო მეტადაც გაანაწყენოს ხელისუფლება. თუ სახალხო დამცველმა ხელისუფლებას აამა, მაშინ გამოდის, რომ მას თავისი ფუნქცია არ შეუსრულებია.

***– საჯარო დისკუსიები უნდა გაიმართოს?***

– რა თქმა უნდა, უნდა გაიმართოს. აუცილებელია საჯარო დისკუსიები, კანდიდატების მოსმენა. რაც უფრო მეტი ადამიანი გაიცნობს მომავალ ომბუდსმენის კანდიდატს და რაც უფრო მეტი მხარდაჭერა ექნება საზოგადოებრივი ჯგუფებისგან, მით უფრო გაუადვილდება მას, იყოს მუდმივად ოპონირების რეჟიმში ხელისუფლებასთან და არ ეშინოდეს ისეთი შეფასებების, რომლებიც დღეს უჩა ნანუაშვილის მისამართით კეთდება.

***– ქალბატონო ლია, ყველაზე კარგი სახალხო დამცველი შეგიძლიათ დაასახელოთ?***

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ადამიანის უფლებების მდგომარეობა შიგადაშიგ მკვეთრად ცუდი დინამიკით გამოირჩეოდა, მე გამოვარჩევდი უჩა ნანუაშვილს, როგორც მაღალი დონის პროფესიონალს და ბატონ დავით სალარიძეს, რომელიც გახლდათ პირველი სახალხო დამცველი. ყველასთვის მოულოდნელად, მას შემდეგ, რაც ამდენი ხანი გავიდა, მისი დასკვნები, რეკომენდაციები, მაშინდელი ქმედებები დღესაც თავს იჩენს და პირადად მე ძალიან მნიშვნელოვან დასკვნებს მაკეთებინებს. ვფიქრობ, ადამიანები ამ თანამდებობაზე სანიმუშოდ უნდა თვლიდნენ ამ ორი პირის მოღვაწეობას მთელი თავისი შინაარსით. თუმცა, ყველა სახალხო დამცველმა, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა ჩვენთან, გარკვეულწილად, პოზიტიური წვლილი შეიტანა, რომ ეს საქმიანობა ყოფილიყო პრესტიჟული, არა ხელისუფლების საამებლად, არამედ ნამდვილად ადამიანის უფლებების დასაცავად.

## საქართველოს საჰაერო სივრცეში თავისუფალი მარშრუტები დაინერგა




საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქაერონავიგაციამ“, რეგიონში პირველმა, საქართველოს საჰაერო სივრცეში თავისუფალი მარშრუტები დანერგა.

თავისუფალი მარშრუტების კონცეფცია გულისხმობს ფრენებს შემოსვლის წერტილიდან პირდაპირი ტრაექტორიით გასვლის წერტილზე, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოს სააერნაოსნო კრებულში (AIP).

თავისუფალი მარშრუტების დანერგვა საქართველოსა და მთლიანად ევროპის რეგიონში:

გაზრდის საჰაერო სივრცის გამტარუნარიანობას და შეამცირებს შეფერხებული ფრენების რაოდენობას;

დაზოგავს სანავიგაციო მომსახურების საზღაურებს საჰაერო სივრცის მომხმარებელთათვის;

საშუალებას მისცემს ავიაკომპანიებს, შეარჩიონ უმოკლესი მარშრუტი და დაზოგონ საწვავი;

10%-ით შეამცირებს საჰაერო მიმოსვლის შედეგად გამოწვეულ მავნე ზემოქმედებას გარემოზე;

აამაღლებს ფრენების უსაფრთხოების დონეს, მომავალი გამოწვევების შესაბამისად.

## ელექტროენერგიით ელექტრონული ვაჭრობის სისტემა 2019 წლიდან ამოქმედდება




– ელექტროენერგიით ვაჭრობის ელექტრონული სისტემა 2019 წლიდან ამოქმედდება, – აცხადებს ენერგეტიკის მინისტრის ახლადდანიშნული მოადგილე გიორგი ჩიქოვანი.

სისტემას ერთი წლის განმავლობაში დააკვირდებიან და 2020 წლისთვის კიდევ უფრო დახვეწენ.

ჩიქოვანი განმარტავს, რომ ქვეყანა გადადის ლიბერალურ ბაზრის პრინციპებზე, გაიხსნა ბაზარი და შესაბამისად, მსგავსი ტიპის ღია სისტემაზე ჩნდება მოთხოვნა.

სისტემის ამოქმედების მიზანია გამჭვირვალე ფასების უზრუნველყოფა და გამყიდველისთვის და მყიდველისთვის საბაზრო მოქმედების შესაძლებლობა.

ჩიქოვანის თქმით, სისტემით ვაჭრობა ყველას არ შეეძლება, ეს იქნებიან პირდაპირი მომხმარებლები და პირდაპირი დაშვების მქონე მომხმარებლები საბითუმო ბაზარზე. ანუ ეს იქნებიან გენერატორები და მიმწოდებლები.

ჩიქოვანის თქმით, თუკი დღეს ვაჭრობა ხდება თვიურად, შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე, ახალი პლატფორმის შექმნისა და სისტემის დანერგვის შემდეგ, ფასები მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე დადგინდება მომდევნო დღის 24 საათისთვის, ვაჭრობა კი დღეში ერთხელ შედგება.

## გასულ წელს მეტროს შემოსავალმა 51,78 მილიონი ლარი შეადგინა

გასულ წელს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 113,26 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია კომპანიის 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაშია მოცემული.

მთლიანი შემოსავლებიდან, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტროს) საქმიანობით მიღებული შემოსავალი – 51,78 მილიონი ლარი; ავტობუსების საქმიანობის შედეგად მიღებული კი– 60 მილიონი იყო; რაც შეეხება საბაგიროებს, „რიყე-ნარიყალასა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუსტბის“ საბაგიროს საქმიანობით მიღებულმა შემოსავალმა გასულ წელს 1,48 მილიონი ლარი შეადგინა.

კომპანიის ხარჯებმა კი 2016 წელს, ჯამში, 131.75 მილიონი ლარი შეადგინა.

„თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ყოფილი შპს „თბილისის მეტრო“), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი თბილისის მერიაა, 1966 წლიდან ოპერირებს. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს ქალაქის მასშტაბით, მეტროს, ავტობუსებისა და საბაგიროების მეშვეობით მგზავრთა რეგულარული გადაყვანა წარმოადგენს.



შორენა მარსაგიშვილი

# ევროპარლამენტში აფხაზეთის მხარდამჭერი ჯგუფი იქმნება

**ბოლო დროს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებზე. მათი დელეგაციები ევროპაში უკვე ოფიციალურ შეხვედრებსაც მართავენ.**

აფხაზური მედიით გავრცელებული ინფორმაციით, ცნობილი ხდება, რომ უახლოეს მომავალში ევროპარლამენტში აფხაზეთის მხარდამჭერი სადეპუტატო ჯგუფი შეიქმნება, რომელიც აფხაზეთის კეთილი ნების ელჩების საერთაშორისო ჰუმანიტარული ინიციატივების ლობირებას შეუწყობს ხელს. საქართველოს ხელისუფლება კი ამ ყველაფერს მშვიდად ადევნებს თვალს და მხოლოდ ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლება.

შეუძლია თუ არა ხელისუფლებას სეპარატისტებისთვის ხელის შეშლა, როგორ მუშაობენ ასეთ დროს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საელჩოები, რა არის მოსახლეობის ბრალი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სომხეთში საქართველოს ყოფილი ელჩი, ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

***– თქვენ, როგორც ყოფილი დიპლომატი, როგორ აფასებთ აფხაზეთის და ცხინვალის მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლების ვოიაჟებს ევროპაში. მათი დროშები არაერთ საერთაშორისო ფორუმზე თუ გამოფენაზე გამოჩნდა. შეუძლია თუ არა საქართველოს ხელისუფლებას ამის წინააღმდეგ რამის გაკეთება?***

– სანამ ამ გულსატკენ კითხვას გავცემდე პასუხს, მინდა იმათ ოჯახებს მივუსამძიმრო, რომლებიც გუშინ დაკრძალეს. ამ ადამიანებმა 24 წლის წინ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შესწირეს თავი და მთელი საქართველოა მათი ჭირისუფალი.

ზოგიერთ უწიგნურ პოლიტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს თუ მედიის ნაწილს მინდა ვურჩიო, რომ სანამ რამეს იტყვიან, დაფიქრდნენ. ჩვენს გმირებზე საუბრისას აცხადებენ, რომ ისინი ქართულ მიწას დაუბრუნდნენ. არსად არ დაბრუნებულან ბატონებო, ის მიწაც ქართულია, სადაც აქამდე განისვენებდნენ. აფხაზეთი ქართული მიწაა, ისევე, როგორც სამაჩაბლო.

ახლა რაც შეეხება ჩვენი ხელისუფლების საარაკო ქმედებებს საერთაშორისო ასპარეზზე. მათმა საქციელმა ერთი გასული საუკუნის 70-იან წლებში მომხდარი ამბავი გამახსენა. მაშინ ცეკას პირველი მდივანი, გენერალი ვასილ მჟავანაძე იყო. ფეხბურთი საქართველოში მაშინაც საოცრად პოპულარული იყო, მაგრამ რად გინდა, ჩვენი საამაყო თბილისის „დინამო“ თამაშს თამაშზე აგებს.

საზოგადოება და ინტელიგენცია აღშფოთებულია. მეტიც, ლამის ქარხნები გაიფიცნენ – მუშები ამბობდნენ, „დინამო“ რომ ვერ იგებს, მუშაობის ხალისი დავკარგეთო. მოკლედ, სერიოზული პრობლემა შეიქმნა. მჟავანაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით ცეკას ბიუროს სხდომა ჩაატარა. ბიუროს ინტელიგენციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. იქ იყო აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

გაცხოველებული საუბარი წარიმართა იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ქნას, რომ ჩვენმა „დინამომ“ მოსკოვის გუნდებს მოუგოს. დიდი ხნის კამათის შემდეგ, ერთ ვერსიაზე შეთანხმდნენ. თქვეს, მოდით, ფეხბურთელებს მეტი პატრიოტიზმისკენ მოვუწოდოთ და ხალხმაც უფრო ომახიანად იძახოს „დინამო, დინამოო“.

ეს იდეა ყველამ მოიწონა და მოულოდნელად მჟავანაძემ ირაკლი აბაშიძეს სთხოვა თავისი აზრის გამოთქმა. გარდა იმისა, რომ დიდი პოეტი იყო, ირაკლი საოცრად ენაკვიმატი ადამიანი გახლდათ. მან ასეთი პასუხი გასცა: მე, ასაკოვან კაცს, შუაღამისას ჩემმა საყვარელმა მეუღლემ რომ გამაღვიძოს და შემახსენოს ერთი რამე და მეძახოს ირაკლი, ირაკლი, ირაკლი. გამომივა რამეო? ასეთი მკვდრები არიან „დინამოში“ და არანაირი შეძახილები მაგათ არ უშველისო.

როცა არაფერი არ შეგიძლია და მკვდარი ხარ, რაც არ უნდა შეგიძახონ, არაფერი არ გამოგივა. ჩვენი დღევანდელი ხელისუფლებაც ასე, რაც არ უნდა მივუთითოთ, ვერაფერს ვერ იზამენ.

***– გინდათ თქვათ, რომ ჩვენი ხელისუფლება მარიონეტული რეჟიმების წინააღმდეგ ვერაფერს მოიმოქმედებს?***

– შეიძლება ძალიანაც უნდათ რამის გაკეთება, მაგრამ არ შეუძლიათ. არ შეუძლიათ იმიტომ, რომ არაპროფესიონალები არიან. ამის გარდა, მათ დამოუკიდებლობა და სითამამე აკლიათ. ამას ემატება ისიც, რომ თავად ძალიან კარგად არიან მოწყობილი. მშვენიერ ხელფასებს და პრემია-დანამატებს იღებენ. არათუ ოპოზიცია, საზოგადოება არის იმდენად გაჩუმებული, რომ ხელისუფლებას ყველაფერი გასდის. წვიმა რომ არ წამოსულიყო, ხანძარსაც კი ვერ ჩააქრობდნენ.

ბიუჯეტის მუხლებში დიდი მონდომებით ვეძებე, იქნებ ახლა მაინც ჩადეს რამე თანხები, ხანძარს უფრო ეფექტურად რომ ვებრძოლოთ. მსგავსი ვერაფერი ვნახე. სამაგიეროდ, პროტოკოლის ხარჯები არ დაავიწყდათ. თანხებია გამოყოფილი ავტოპარკის განახლებაზეც. არადა ახალი ჯიპები სულ რაღაც 2 წლის წინ იყიდეს.

თქვენ მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლების ევროპაში ვიზიტი გიკვირთ. ამ დროს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელი ჩინეთში ვიზიტის დროს აფხაზურ დელეგაციასთან ერთად იღებდა ფოტოებს. სამწუხაროდ, ამაზე რეაქცია არც საზოგადოებას არ ჰქონია. ხელისუფლება რომ ასეთი უმოქმედოა, ეს ჩვენი მოსახლეობის ბრალიცაა.

## გიგლა ბარამიძე: „აქტიურად მიმდინარეობს სახელმწიფო საზღვრის გადმოწევა“



## „როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა ქარაქუცულია, იქ ნუღარ გვიკვირს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის წარმომადგენლები თავისუფლად დადიან აქეთ-იქით“

რას ვითხოვთ იმ ხელისუფლებას, რომელმაც იმდენს ვერ მიაღწია, რომ გიგა ოთხოზორიას მკვლელს ქუჩაში თავისუფლად არ ევლო. ეს არის ხელისუფლება, რომელიც მცოცავ ანექსიაზე ხმას ვერ იღებს. ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელსაც აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენაზე მკაფიო პოზიცია არა აქვს ჩამოყალიბებული.

ერთ მოსალოდნელ გაუგებრობაზე წინასწარ ვიტყვი – 30 ოქტომბერს ბაქოში ბაქოთბილისი-ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პრეზენტაცია გაიმართება. ამ რკინიგზით ისარგებლებენ როგორც მგზავრები, ასევე მოხდება ტვირთების გადატანა. ვიცი, ჩვენი ხელისუფლება ამ ამბავს დიდ რეკლამას გაუწევს, მაგრამ „ოცნება“ ამ პროექტისთვის პოლიტიკურად მზად არ არის.

***– რატომ არ არიან მზად? ფიქრობთ, რომ ეს პროექტი რამე გართულებას გამოიწვევს?***

– სომხეთმა შესაძლოა მოითხოვოს, რომ ამ სარკინიგზო ხაზით გაიტანოს ტვირთები თურქეთში. ამაზე მათ ნებართვა აზერბაიჯანმა უნდა მისცეს. ბაქო აუცილებლად მისცემს მათ ამის უფლებას, ოღონდ ერთი პირობით – სომხეთმა ყარაბაღიდან ჯარი უნდა გაიყვანოს. საინტერესოა, საქართველო რა პასუხს გასცემს ამაზე ერევანს. დარწმუნებული ვარ, ამაზე პასუხი არ ექნებათ.

დღევანდელი ხელისუფლება არაფრისთვის მომზადებული არ არის. არადა ხელისუფლების წარმომადგენლები ყველა თავიანთ გამოსვლაში ამბობენ, რომ დასავლეთში ძალიან ბევრი მეგობარი გვყავს. ამათ რომ უსმინო, იფიქრებ, მთელი ამერიკა და ევროკავშირი ჩვენსკენაა, ბოლოს აღმოჩნდა, რომ ევროსაბჭოს და ევროკავშირის ორი კინკილა დეპუტატი სააკაშვილს დასდევს მხოლოდ. საქართველოსთვის საჭირბოროტო საკითხებზე ისინი ხმას არ იღებენ.

ჩვენს სტრატეგიულ მდგომარეობას ვერც ერთი მიმართულებით ვერ ვიყენებთ და სულ მათხოვრები ვართ. არადა გეოგრაფიულად და პოლიტიკურად იმდენად მნიშვნელოვანი პოზიციები გვიკავია, რომ ყველასთან ურთიერთობაში სერიოზული კოზირები უნდა გვეკავოს ხელში.

საქართველოში წესად იქცა იმ ადამიანების წახალისება, რომლებიც ღირსებას და პრინციპებს არად დაგიდევენ, პროფესიონალიზმზე აღარ ვლაპარაკობ. აქ მთავარია იყო მლიქვნელი და შეძრომ-გამოძრომა იცოდე კარგად. მახსენდება ერთი საზოგადო მოღვაწის ცნობილი ფრაზა – მიდიან ქაქუცები და მოდიან ქარაქუცები.

როდესაც ხელისუფლებაში ძირითადად ქარაქუცები არიან, სახელმწიფო პოლიტიკაც ქარაქუცულია და ნუღარ გვიკვირს, რომ აფხაზეთის და ცხინვალის წარმომადგენლები თავისუფლად დადიან აქეთ-იქეთ.

***– თქვენ რამდენიმე წლის განმავლობაში იყავით სომხეთში საქართველოს ელჩი. აფხაზებს და ოსებს ერევანთან საკმაოდ მჭიდრო კავშირები ჰქონდათ, მაგრამ იმ დროს ასეთი ვიზიტები არ იყო.***

– ოფიციალური დელეგაცია როგორ ჩამოვიდოდა? ან ვინ შეხვდებოდა მათ. რაღაც ფაქტები იყო, მაგრამ კონკრეტული ადამიანები ჩამოდიოდნენ. ამაზე სკანდალი გორდებოდა. ვმუშაობდით ყველა მიმართულებით ხმაურის ატეხით, პირადი კონტაქტებით. ესენი არ ინძრევიან, ისიც არ იციან, საერთოდ რა ხდება.

ჩვენს ხელისუფლებას იმ ქვეყნების ელჩების დაბარებაც არ შეუძლიათ, სადაც სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენლებს მასპინძლობენ. აღარაფერს ვამბობ თურქეთის ელჩზე. დღეს აფხაზეთში ძალიან აქტიურობენ თურქი ბიზნესმენები. ფაქტიურად ისინი ყიდულობენ ყველაფერს, რისი ყიდვაც შეიძლება. მართალია ისინი კერძო პირები არიან, მაგრამ თურქეთს ხომ წარმოადგენენ? ამიტომაც უნდა დაიბარონ ელჩი და პასუხი მოსთხოვონ.

საპროტესტო ნოტის დაწერა ამათ არ შეუძლიათ და ქვეყნის გარეთ რა უნდა გააკეთონ, როცა ვერ ვიცავთ სახელმწიფო ენას. თბილისში ლამის ყველა ენაზე ნახავთ წარწერებს, ქართული ენის გარდა. ქართული წარწერა თუ სადმეა, ისიც, ერთი კაცის ტერმინი რომ ვიხმარო, მიჯირყნულია. არადა კონსტიტუციაში გვიწერია, რომ სახელმწიფო ენა არის ქართული. როცა სახელმწიფო ენას ვერ იცავ, საზღვარი როგორ უნდა დაიცვა, არ მესმის.

***– არც არის საქართველოს საზღვარი სათანადოდ დაცული. დაცვას ვინ ჩივის, დადგენილიც კი არაა, სად გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.***

– საზღვარი როგორ უნდა დაიცვან, როცა დემილიტაცია-დემარკაციის საკითხები არ არის განხილული. საზღვრების ნაწილი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ არის გადმოწეული.

***– რომელ მიმართულებაზეა საზღვრები გადმოწეული?***

– სიტუაციის გამწვავება არ მინდა და ამიტომ კონკრეტულ მიმართულებებს არ დავასახელებ. სამწუხაროდ, ეს პროცესი გრძელდება. ამის შესახებ ხელისუფლებამაც ძალიან კარგად იცის, მაგრამ ამაზე ხმას არ იღებენ. ასეთი რამეები რომ ხდება, აფხაზები და ოსები იტალიაშიც ჩავლენ, შვეიცარიაშიც და მონტე კარლოშიც.

ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ღიად თქვეს, რომ სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთს უნდა შეუერთდესო. ამაზე დიდი მუშაობაა დაწყებული. საქართველოს დიპლომატიის ნომერ პირველი საზრუნავი ეს არ უნდა იყოს? ამაზე უნდა იყოს ერთი ამბავი ატეხილი.

ესენი რას აკეთებენ, სააკაშვილის გაკეთებული ბათუმის ბულვარი კარგად შეირგეს და იქ ტანცაობა და სვეცკაობა აქვთ გამართული. სიმპოზიუმებს და კონფერენციებს რომ ატარებენ და უსაფრთხოების საკითხებზე საუბრობენ. რისი უსაფრთხოებაა ეს? უსაფრთხოება არის ის, რაზეც მოგახსენეთ. აქ კიდევ ჩამოვლენ სხვადასხვა ქვეყნების თავდაცვის მინისტრები, გაისეირნებენ ბულვარში და წავლენ. ზოგადი ტატყანის იქეთ, რაიმე ეროვნული საკითხი ოდესმე დადგა დღის წესრიგში?

კონსტიტუციაზეც მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. ეს გახლავთ ერთი პარტიის დოკუმენტი, სადაც საზოგადოების აზრი საერთოდ არაა გათვალისწინებული. არადა რამდენი ირბინეს ვენეციის კომისიაში. ამათ შემხედვარეს დიდი თომას მანის გენიალური ნაწარმოები „სიკვდილი ვენეციაში“ გამახსენდა. ამათ იმდენი ირბინეს ვენეციის კომისიაში, რომ ჩანასახშივე მოკლეს ჯერ არშობილი ქართული კონსტიტუცია.

ერთადერთი, რაშიც ხელისუფლების ძირითადი ბირთვი გამეცადინებულია, ეს არის გაყალბება. მათ გაყალბების ახალი ფორმულა მოიგონეს. წინა ხელისუფლება თუ ძალის გამოყენებით აყალბებდა, ამათ უსისხლო გაყალბებები დაიწყეს. ჩემი შეფასებით, ისინი ხავერდოვანი გაყალბების დიდოსტატები არიან. შიგადაშიგ ყურანზე დაფიცების მეთოდიც შემოიტანეს. რამდენიმე დღეში არჩევნებია და აგერ ნახავთ, თუ არა იქნება გაყალბება.

არასამთავრობო ორგანიზაციები აუცილებელია, მაგრამ მათ ჯანსაღი აზრი უნდა დაიცვან. ესენი კი, ანტისახელმწიფოებრივ მოძღვრებებს იცავენ. დაინტერესებულა ხელისუფლება, ამ არასამთავრობოებთან თანხები საიდან ან რისთვის მოდის.

დღეს მსოფლიოში მიდის დიდი გადანაწილება და ჩვენს ხელისუფლებას თუ შეუძლია ამისთვის იყოს მზად. ძალიან ბევრი პრობლემები გველოდება წინ და მასთან გამკლავება გაჭირდება. „ქართული ოცნება“ ვერც რადიკალურ სექტას გაუმკლავდება.

***– რადიკალურ სექტაში ვის გულისხმობთ?***

– ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს. აშკარაა რომ ისინი არეულობისკენ არიან მოწოდებული და დღევანდელი ხელისუფლება ამას ვერ ხვდება, რაც ცალკე უბედურებაა კიდევ.

***– ზემოთ არასამთავრობოებზე ისაუბრეთ, რომლებიც ყველაფერს აპროტესტებენ, მაგრამ მათთვის საინტერესო არ არის დაკარგული ტერიტორიები. მათ არასდროს არ გაუპროტესტებიათ ის ამბავი, რომ მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები დასავლეთში ოფიციალურ შეხვედრებს მართავენ. მათთვის საინტერესო არც იმ ქართველების ბედია, რომლებიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ. მათ ამგვარ დამოკიდებულებას რითი ხსნით?***

– იმით, რომ ისინი ანტისახელმწიფოებრივად არიან მომართული. მათთვის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები უცხოა. ან უჩა რას მიკეთებს, ნანუაშვილი? ის ისეთივე სახალხო დამცველია, როგორც მე ჩინეთის იმპერატორი. ნანუაშვილი მხოლოდ გარკვეული თემებს და გარკვეული წრეების ინტერესებს იცავს. ის არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს უფლებადამცველი.

დღეს საქართველოში თუ ვინმეს არ აწყობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ესენი არიან არასამთავრობოები. გამუდმებით რუსეთს აგინებენ და მერე ირკვევა, რომ მათ უსწავლიათ რუსეთში, მათ აქვთ იქ ბიზნესი და ბოლო მომენტამდე ამ ქვეყნის მოქალაქეებად რჩებოდნენ.

არასამთავრობოების ასეთი მოძალება იქ ხდება, სადაც ხელისუფლება უსუსურია. ჩვენთანაც ასეა. შექმნილ ვითარებაზე საზოგადოებამაც უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. ისინი ირჩევენ ხელისუფლებას და ისინი არ ითხოვენ მათგან პასუხს.

# პარლამენტის ორივე შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისთვის 4.5 მილიონ ლარამდე დაიხარჯება



საქართველოს პარლამენტის ქუთაისისა და თბილისის შენობების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისთვის 4.5 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. ამის შესახებ შესაბამის საკითხებზე შექმნილი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ანრი ოხანაშვილმა განაცხადა. ოხანაშვილის ინფორმაციით, კომისია რამდენიმე პროექტზე მუშაობს, რომელიც პარლამენტის ქუთაისისა და თბილისის სასახლეებთან მიმართებით უნდა განხორციელდეს.

კერძოდ, ოხანაშვილის თქმით, იგეგმება ქუთაისის პარლამენტის გარე პერიმეტრის მოწყობა, თბილისის შენობის რეკონსტრუქცია რესტავრაცია და შიდა სივრცეების მოწყობა. ამისთვის კი, მისივე განცხადებით, დაახლოებით 4 მლნ-დან 4.5 მლნ ლარამდე დაიხარჯება.

– პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრა ქუთაისისა და თბილისის პარლამენტის შენობებში რეკონსტრუქცია და საპროექტო სამუშაოების საალრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება და ამისთვის შექმნილია კომისია. რაც შეეხება კონკრეტულ სამუშაოებს, პირველადი და გადაუდებელი არის ქუთაისის პარლამენტის შენობის გარე ფასადის შეღებვა. იქიდან გამომდინარე, რომ წყალი ჩამოდის, ფასადი დაზიანებულია. ეს გადაწყვეტილება პარლამენტის აპარატმა უკვე მიიღო და სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. რაც შეეხება მეორე საკითხს, ის ეხება შენობის გარე პერიმეტრის მოწყობას.

კომისიის ფარგლებში უკვე ვმუშაობთ ყველა იმ დეტალზე, რისი რეკონსტრუქციაც გვჭირდება, ასე მუშაობა მიდის პირობებზე, რომ პროექტთან დაკავშირებით კონკურსი გამოცხადდეს. ამის შემდგომ, სავარაუდოდ, მომდევნო წლიდან დაიწყება შესაბამისი სამუშაოები. მოგეხსენებათ, რომ ქუთაისის პარლამენტის ეზოში ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული ავტომანქანების სადგომები, არ არის სივრცე დახაზული. ასევე სჭირდება დრენაჟისა და დიზაინის სამუშაოების ჩატარება. გარემო შშმ პირებისთვის ადაპტირებული არ არის და ა.შ., – განაცხადა ოხანაშვილმა.

რაც შეეხება ხარჯებს, როგორც მან აღნიშნა, ქუთაისში განსახორციელებელი პროექტები, დაახლოებით, 1,5 მილიონი ლარი დაჯდება, თუმცა, კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, საბოლოო ხარჯების შესახებ მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც პროექტები მომზადდება და ყველა ის პროცედურა განისაზღვრება, რაც შენობის რეკონსტრუქციისთვის უნდა განხორციელდეს.

– იმისთვის, რომ ქუთაისის შენობის გარე პერიმეტრი მოეწყოს, არ შემოვიდეს ეზოში პირუტყვი, გვქონდეს ავტოსადგომები და შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო, დაახლოებით, 1,5 მილიონი ლარი დაიხარჯება. ასევე მიდის საუბარი იმაზეც, უფრო მეტად ხომ არ გამწვანდეს გარემო, შენობის გარშემო ღობე დაბალი ხომ არ იყოს ან ქუთაისელებისთვის სკვერი ხომ არ მოვაწყოთ. დღის წესრიგში ეს საკითხები დგას.

ამის სავარაუდო ღირებულება შესაძლოა 1 მილიონიდან 1.5 მილიონ ლარამდე იყოს, – განმარტა კომისიის თავმჯდომარემ.

რაც შეეხება თბილისში მდებარე პარლამენტის შენობას, ოხანაშვილის განცხადებით, რამდენიმე პროექტზეა საუბარი, რასაც ამ ეტაპისთვის კომისია განიხილავს.

– საუბარი მხოლოდ შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე არ არის. პირველ რიგში მხედველობის არმქონე და მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის გარემო არ არის ხელმისაწვდომი. ერთი პროექტი სწორედ ამას ითვალისწინებს, რომ გარემო მოეწყოს. მიდის საუბარი იმაზე, რომ დავნერგოთ ნავიგაციის სისტემა. ვგეგმავთ ტაქტილური ბილიკების მონტაჟს სასახლეში შემოსასვლელებიდან ლიფტებამდე; ტაქტილური რუკების განთავსებას და კიბეების აღჭურვას. სპეციალური მოწყობილობების და ორდონიანი მოაჯირების, არსებული პანდუსების კეთილმოწყობას და ახლების დამონტაჟებას. სპეციალური სტაციონარული ამწე ლიფტების და მობილური ამწე პლატფორმების რაოდენობის გაზრდას და მოწყობას. ასევე, ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რომელიც შშმ პირებისთვის გარემოს ადაპტირებისთვის არის საჭირო. ყველა პროექტზე ვმუშაობთ და სავარაუდოდ, წელს გავწერთ კონკრეტულ პირობებს, რა პირობებით შეიძლება კონკურსანტებმა პროექტები წარმოადგინონ. შესაძლოა, პროექტების კონკურსიც წელსვე დავასრულოთ. მომავალი წლიდან კი, კონკრეტული სამუშაოები დავიწყოთ. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება აქაც, დაახლოებით, 1 მლნ-დან 1.5 მლნ ლარამდე მერყეობს, – აღნიშნა ოხანაშვილმა და დასძინა, რომ იგეგმება პარლამენტის შენობის A კორპუსის მესამე სართულის რეაბილიტაცია და შენობის შიდა ეზოს კეთილმოწყობაც, რაც ასევე 1,5 მილიონ ლარამდე დაჯდება.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, არცერთი დაგეგმილი სამუშაო საკანონმდებლო პროცესის შეფერხებას არ გამოიწვევს. მისივე განცხადებით, ამ ყველაფრის აღსრულება პარლამენტის აპარატმა უნდა უზრუნველყოს.

– თანხებიც აპარატის ბიუჯეტიდან გამოიყოფა. საერთო ჯამში, ყველა სამუშაოს განსახორციელებლად, დაახლოებით, 4 მლნ-4.5 მლნ ლარამდე დაიხარჯება, – განაცხადა ოხანაშვილმა.

ცნობისთვის, პარლამენტის შენობების რესტავრაცია-რეაბილიტაციის საკითხს არეგულირებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება „საქართველოს პარლამენტის სასახლეების (ქ. თბილის, ქ. ქუთაისი) თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ჩასატარებელი კეთილმოწყობის, რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის სამუშაოების სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის მეშვეობით განსახორციელებლად საქართველოს პარლამენტის საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“.

კომისიაში შედიან პარლამენტის წევრები როგორც მმართველი პარტიიდან, ასევე ოპოზიციიდან და პარლამენტის აპარატის ყველა იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან თანამშრომელი, რომლებსაც ეს საკითხები შეეხებათ. კომისია სულ 18 წევრისგან არის წარმოდგენილი.

# „საკაბელო ოპერატორებს, რომლებთანაც მოლაპარაკება ვერ შედგება, პირველი დეკემბრიდან ქართული არხების ტრანსლირების უფლება შეეზღუდებათ“

„მედია რაითს ჯორჯია“ მზადაა, საკაბელო ოპერატორებთან მოილაპარაკოს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი 6 ქართული არხის კონტენტის უფასოდ მიღებაზე უარს იტყვიან. ამის შესახებ შპს „მედია რაითს ჯორჯიას“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და დირექტორმა ზურაბ ნაყეურმა საკაბელო ოპერატორების გარკვეული ნაწილის მიერ 6 ქართული არხის საპროტესტოდ გათიშვაზე გაკეთებული განცხადების კომენტირებისას განაცხადა.



ზურაბ ნაყეურმა სამწუხარო უწოდა იმ ფაქტს, რომ საკაბელო ოპერატორების გარკვეულ ნაწილთან მოლაპარაკებები ვერ შედგა.

– პირველ რიგში, გამოვხატავთ დიდ გულისტკივილს, რომ ვერ შედგა მოლაპარაკება, მაგრამ, ხაზს ვუსვამ იმას, რომ ეს არ არის საკაბელოების უმეტესი ნაწილი, არც ნახევარი, არც მეოთხედი და არც მეათედი, არამედ ეს არის მცირე საკაბელო ოპერატორები, რომლებთანაც ვერანაირად ვერ მოვახერხეთ რაიმე ურთიერთობების დალაგება. შესაბამისად, პირველ დეკემბრამდე გვაქვს მოლაპარაკების ვადა, კვლავ გამოვხატავთ ღია კარის პოლიტიკას და მზად ვართ, მოვილაპარაკოთ, თუ ისინი უარს განაცხადებენ უფასოდ, პარაზიტული გზით ჩვენგან კონტენტის მიღებასა და მის გაყიდვაზე. აქ საუბარია გადაყიდვაზე. ჩვენ სამართლიანად გვიჩნდება პროტესტის გრძნობა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ შორის რუსულ არხებს უხდიან თანხას და ქართულ არხებს – არა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთ-ერთ მსხვილ ოპერატორთან, როგორიცაა „მაგთიკომი“, რომელმაც გააერთიანა „კავკასუსი“ და „დელტაკომი“ და რომლის აბონენტთა რაოდენობა დაახლოებით, 200 000-ზე მეტია, მოლაპარაკება შედგა და ვაგრძელებთ თანამშრომლობას. იმედს გამოვთქვამთ, რომ სხვა ოპერატორებთანაც ანალოგიურად გავაგრძელებთ. თუ მათ მიიღეს ეს გადაწყვეტილება, ეს მათი ნებაა და პატივს ვცემთ, – განაცხადა ნაყეურმა.

რაც შეეხება „სილქნეტს“, ზურაბ ნაყეურის განცხადებით, აღნიშნულ კომპანიასთან „მედია რაითს ჯორჯია“ მოლაპარაკების სტადიაზეა და დრო ჯერ კიდევ არის პირველ დეკემბრამდე.

მისივე თქმით, იმ საკაბელო ოპერატორებს, რომლებთანაც მოლაპარაკება ვერ შედგება, კომპანია „მედია რაითს ჯორჯია“ პირველ დეკემბერს აღნიშნული ქართული არხების ტრანსლირების უფლებას შეუზღუდავს.

მაისში რამდენიმე ათეულმა საკაბელო ოპერატორმა შპს „მედია რაითს ჯორჯიასგან“ წერილი მიიღო, რომელშიც კომპანია აცხადებდა, რომ ჰქონდა ექსკლუზიური უფლება სამაუწყებლო არხების – „იმედი“, „რუსთავი 2“, „ჯიდიესი“, „მარაო“, „კომედი არხი,“ „მაესტრო“ კომერციულ დისტრიბუციაზე საკაბელო ტელევიზიებსა და ინტერნეტსივრცეში. წერილში „მედია რაითს ჯორჯია“ ასევე განმარტავდა, რომ დაინტერესების შემთხვევაში საკაბელო ოპერატორებმა აღნიშნულ ორგანიზაციას უნდა მიმართონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შეუწყდებათ ზემოაღნიშნული სამაუწყებლო არხების ტრანსლირების ან/და მათი კონტენტის განთავსების უფლება.

„მედია რაითს ჯორჯიასა“ და საკაბელო ოპერატორებს შორის მოლაპარაკებები რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ 40-მდე მცირე და საშუალო საკაბელო ოპერატორი 6 ქართულ არხს საპროტესტოდ გათიშავდა.

# თემურ ჭყონია: „საქართველოს განვითარებისთვის მხოლოდ კომაროვის განათლება არ ჰყოფნის“



თემურ ჭყონია ქართული ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. 25 წელზე მეტია, რაც აქტიურად არის ჩართული ბიზნესში და კარგად იცნობს ქართული ბიზნესის ყველა ნიუანსს. ,,კოკა კოლა“, ,,მაკდონალდსი“, ,,კასტელი“ და კიდევ მრავალი სხვა ბიზნესი, რომლებიც მან სხვადასხვა დროს შექმნა და განავითარა, თან ისე, რომ მუდმივად ოსტატურად ახერხებდა, არსებითად გამიჯვნოდა პოლიტიკურ თამაშებს.

თბილისის მერის არჩევნები და მერობისთვის მებრძოლი კანდიდატები, ქართულ პოლიტიკაში არსებული ხარვეზები და გამოწვევები, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების მართვა, კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელობა და მის ბიზნესებში არსებული სიტუაცია – ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ბიზნესმენი თემურ ჭყონია „ბანკებსა და ფინანსებს“ ესაუბრა.

– თქვენ მუდმივად ამბობთ, რომ პოლიტიკაში ახალი თაობის გამოჩენაა საჭირო, რომელიც საბჭოთა მენტალიტეტს დაანგრევს და ახალ ენერგიას მოუტანს ქვეყანას. ჩანს თუ არა ძვრები ამ მიმართულებით და გამოჩნდნენ თუ არა ევროპული ტიპის პოლიტიკოსები?

– მე რასაც ვაკვირდები, ძირითადად, სწორად მოაზროვნე ახალგაზრდები არასამთავრობო ორგანიზაციებში არიან და პოლიტიკაში ნაკლებად ჩანან, რაც ძალიან ცუდია. თაობათა ცვლა არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე უნდა გარდაიცვალოს და მის ნაცვლად სხვა უფრო ახალგაზრდა უნდა მოვიდეს. ჩემი ნება რომ იყოს, კომუნისტური პარტიის ყოფილ წევრებს პარლამენტში აღარასდროს შევუშვებდი.

ძველი თაობის პოლიტიკოსებმა ასპარეზი უნდა დაუთმონ ახალგაზრდებს. თაობათა ცვლა უნდა მოხდეს არა სიკვდილით, არამედ მენტალიტეტით.

მე კარგად ვხედავ, რომ ბევრ წარმატებულ ახალგაზრდას სულაც არ უნდა პოლიტიკაში მოსვლა. მათ აქვთ საკმაოდ კარგი შემოსავალი, უცხოეთშიც დადიან კარგადაც ერთობიან ამით კმაყოფილდებიან. მაგრამ, მსგავსი მიდგომა პირველ რიგში ქვეყნისთვის არის ცუდი.

თუ ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა გვინდა პოლიტიკაში უნდა მოვიდეს ის თაობა, რომელსაც ამის გაკეთება რეალურად შეუძლია. ეს არის თაობა, რომელმაც განათლება მიიღო ევროპაში. ევროკავშირში შესვლა, რომ გვინდა – ევროპაში უნდა შევიდეთ ევროპული განათლებით. არ ჰყოფნის ქვეყანას მხოლოდ და მხოლოდ კომაროვის განათლება, ახლა ჩვენ გაცილებით უფრო მეტი გვინდა.

# „აირზენას“ დამფუძნებელი თბილისში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობის დაწყებას ვერ ახერხებს




ბიზნესმენი თამაზ გაიაშვილი თბილისში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობის დაწყებას თბილისის მერიის გამო ვერ ახერხებს. ამის შესახებ „კომერსანტთან“ საუბრისას თავად ბიზნესმენმა განაცხადა. საუბარია რუსთაველის 12 ნომერში საერთაშორისო ბრენდ Four Seasons Hotel Georgia-ს ბრენდით სასტუმროს მშენებლობაზე.

გაიაშვილის განცხადებით, სამშენებლო-არქიტექტურული პროექტი 9 წლის განმავლობაში ვერ დამტკიცდა. მისი მტკიცებით, პროცესი ნელა მიმდინარეობს. „მას შემდეგ, რაც პროექტი მერიაში დამტკიცდება, საერთაშორისო ბრენდ Four Seasons-ს წარედგინება და უკვე ამის შემდეგ გადაწყდება, დამტკიცებულ პროექტს განახორციელებს თუ არა დასახელებული კომპანია“, – აცხადებს გაიაშვილი.

როგორც ცნობილია, პროექტის საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 70 მილიონი დოლარია.

– დაინგრევა შენობა, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, უკვე დიდი ხანია დასანგრევია. მის ნაცვლად, აშენდება თანამედროვე სტანდარტების მქონე, 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო Four Seasons Hotel Georgia“, – ნათქვამი იყო 2015 წელს სასტუმროს ფეისბუქის გვერდზე. მაშინ ითქვა, რომ მშენებლობას კომპანია Shin Takamatsu Architect & Associates Co განახორციელებდა.

Four Seasons Hotels and Resorts მსოფლიო ბრენდია, რომლის სასტუმროები წარმოდგენილია ამერიკაში, იტალიაში, ინგლისში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებში.

# ნანა კაკაბაძე პროკურატურაში დაიბარეს



უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარ პროკურატურაში განუცხადეს, საქმე უფლებადამცველის მიერ საჯაროდ გაკეთებულ განცხადებას ეხება, რომლითაც კაკაბაძე ციანიდის საქმის დახურულ სასამართლო პროცესზე პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის, სოსო ოხანაშვილის მიერ მიცემულ ჩვენებაზე გამოძიების დაწყებას ითხოვდა.

ოხანაშვილი ჩვენებაში ნანა კაკაბაძეს, ადვოკატ ირმა ჭკადუასა და დეპუტატ ეკა ბესელიას საპატრიარქოში არსებულ შეწყალების კომისიის მეშვეობით კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებდა. ნანა კაკაბაძის გარდა, ამ საქმეზე გამოძიების დაწყება ირმა ჭკადუამაც მოითხოვა.

# ლარსის გამშვებ პუნქტზე ახალგაზრდა ტერორისტი ქალი დააკავეს

რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურის, ФСБ-ს პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს საზღვარზე, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ „ზემო ლარსზე“ დააკავეს უცხო ქვეყნის მოქალაქე, ახალგაზრდა ქალი, რომელიც რუსეთში პოტენციური ტერორისტების გადაბირებას ახდენდა. რომელი ქვეყნის მოქალაქეა დაკავებული ქალი, სამართალდამცველები არ აცხადებენ.

„სასაზღვრო-გამშვებ პუნქტ „ზემო ლარსის“ მგზავრების ნაკადში გამოვლენილია და დაკავებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალი, რომელიც შემჩნეულია საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში. დაკავებული ეჭვმიტანილია ახალგაზრდების ტერორისტული საქმიანობაში ჩართვაში და „რეკრუტების“ სირიაში გამგზავრების დახმარებაში. „ჰიჯაბიანი გადამბირებლის“ მსხვერპლთა შორის არაერთი რუსეთის მოქალაქეა,“ – აცხადებენ ФСБ-ში.



უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, ახალგაზრდა ქალი რუსეთში ნათესაური კავშირების გამო ჩამოვიდა. იგი უკვე დიდი ხანია აწარმოებს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრთა გადაყვანას თურქეთ-სირიის საზღვარზე. ახალგაზრდა ქალი მამაკაცებს ინტერნეტის მეშვეობით უკავშირდებოდა.

– მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, იგი კარგად ფლობს ფსიქოლოგიური მანიპულირების მეთოდებს. ქორწინების მოტივით, იგი ახალგაზრდა მამაკაცებს ადვილად უნერგავდა ექსტრემისტული მიმართულების რადიკალურ იდეებს და თაფლობის თვის ნაცვლად, ქორწინების რელიგიური რიტუალის დასრულების შემდეგ მისი მსხვერპლი პირდაპირ სირიაში მიემგზავრებოდა, რათა ტერორისტულ ორგანიზაციათა წევრი გამხდარიყო, – აცხადებს უწყება.

# კოტე იოსელიანი: „ სასამართლომ ვერ შეძლო პოლიტიკური პროცესებისგან დისტანცირება“




– სამწუხაროდ, სასამართლომ ვერ შეძლო პოლიტიკური პროცესებისგან დისტანცირება და სასამართლო პროცესი არჩევნების შემდეგ დანიშნა.

ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატმა კოტე იოსელიანმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ აქციის დროს დაკავებულების საქმეს განიხილავდნენ. კოტე იოსელიანის თქმით, აბსურდია ბრალდების მხარის შუამდგომლობა და სასამართლო პროცესის იმ მოტივით გადადება, თითქოს მათ ვერ შეძლეს რამდენიმესაათიანი საპროტესტო აქციის მასალის გაშიფვრა და გაანალიზება.

– პოლიციამ ერთი კვირის განმავლობაში ვერ შეძლო ორსაათიანი ვიდეო მასალის გაშიფვრა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოში, სადაც დადასტურდებოდა, რომ თითქოს ჩვენ პოლიციელებს არ ვემორჩილებით. სამწუხაროდ, სასამართლომ ვერ შეძლო პოლიტიკური პროცესებისგან დისტანცირება და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნას პროცესის გადადების შესახებ, დაეთანხმა. ჩვენ გადადებაზე თანახმა ვიყავით, თუმცა გვსურდა, არჩევნებამდე ჩატარებულიყო სასამართლო, რადგან ბრალდებულთა შორის მაჟორიტარობის კანდიდატები არიან, – განაცხადა კოტე იოსელიანმა.

# ლავას ოღლიმ ქვეყანა დატოვა



კრიმინალური ავტორიტეტის მინდია გორაძის ადვოკატი ადასტურებს, რომ გორაძემ ქვეყანა დატოვა. მინდია გორაძის, იგივე ლავას ოღლის უფლებადამცველის ინფორმაციით მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ქვეყანა ციხიდან გამოსვლიდან რამდენიმე საათში დატოვა, თუმცა სად გაემგზავრა ის, ადვოკატის თქმით მისთვის უცნობია.

მინდია გორაძის, იგივე ლავას ოღლის საქმეზე გამოძიება გრძელდება და როგორც ადვოკატი აცხადებს, გორაძე აპირებს გამოძიებასთან ითანამშრომლოს. ალექსანდრე კობაიძის ინფორმაციით, გორაძეს სურვილი აქვს სასამართლო პროცესს დაესწროს, რომელიც 30 ოქტომბერს არის ჩანიშნული და ის ამისთვის საქართველოშიც ჩამოვა.

კრიმინალური ავტორიტეტი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან 16 ოქტომბერს გაათავისუფლეს. ადვოკატის ინფორმაციით, მან სასჯელი მოიხადა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 2015 წლის დეკემბერში მოლდოვის რესპუბლიკაში დაკავებული და დეპორტირებული, ე.წ. კანონიერი ქურდი, მეტსახელად „ლავას ოღლი“, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 2016 წლის 30 იანვარს დააკავეს. საქმეზე გამოძიება კანონიერი ქურდობის და ჯგუფური გამოძალვის ორგანიზების ფაქტებზე მიმდინარეობდა.

# მაკა რაზმაძე: „ციცი კობიაშვილი პროკურატურაში დაიბარეს და რა ხდება?!“

დაღუპული გიორგი გაბუნიას დედა მაკა რაზმაძის გადაცემაში სტუმრობის შემდეგ პროკურატურაში დაიბარეს – ამის შესახებ ჟურნალისტი ფეისბუქის გვერდზე წერს და მიზეზებით ინტერესდება.

– გავიგე, რომ ჩემი გადაცემის შემდეგ ამ გადაცემის ერთ-ერთი გმირი – დაღუპული გიორგი გაბუნიას დედა ციცი კობიაშვილი პროკურატურაში დაიბარეს და სავარაუდოდ საქმეა აღძრული მის წინააღმდეგ დანაშაულის დაფარვის მუხლით. რა ხდება? ეს გადაცემა იყო შაბათს. იმედია პროკურატურა გააკეთებს განმარტებებს ამ საქმესთან დაკავშირებით და შვილმკვდარ დედას არ ატკენენ გულს კიდევ ერთხელ. ველოდები განმარტებებს და შემდეგ მეცოდინება როგორ უნდა მოვიქცე, – წერს მაკა რაზმაძე.

2003 წელს მოკლული გიორგი გაბუნიას დედამ გადაცემა პრიორიტეტში მისი შვილის და შვილის მეგობრის მკვლელობის დეტალებზე ისაუბრა. ციცინო კობიაშვილის თქმით ბექა პაპუაშვილმა მოუყვა, როგორ აპირებდა მის მოკვლას ზურაბ ვაზაგაშვილი. როგორც გიორგი გაბუნიას დედა იძახის ბექა პაპუაშვილის მკვლელობის შემდეგ ისინი იძულებულები იყვნენ შვილი გადაემალათ:

– როგორ დაჭრა ზურა ვაზაგაშვილი, ამის შესახებ ბექას ჩემთან არ უსაუბრია. 23 ნოემბერს მოხდა ეს ინციდენტი და მეორე დღეს დაურეკა ჩემ შვილს ბექამ, შენი გაცილება მჭირდებაო. როდესაც ჩემი შვილი გავიდა, ცოტა ხანში გავიგე სროლა, გადავიხედე და ვიცანი, როგორ გარბოდა ბექა პაპუაშვილის კურსელი. ამ დროს მოკლეს ბექა პაპუაშვილი. მისი მკვლელობიდან ჩემი შვილი გადამალული გვყავდა. იძულებულები ვიყავით, რომ ბინაც გაგვეყიდა, რადგან სადარბაზოდან დახვდნენ რამდენჯერმე, – განაცხადა ციცინო გაბუნიამ.

ბექა პაპუაშვილისა და გიორგი გაბუნიას მკვლელობაში მათი ოჯახები ზურაბ ვაზაგაშვილს ადანაშაულებდნენ. ამასთან დაკავშირებით ნიუპოსტმა 2015 წელს ვრცელი მასალა მოამზადა.



# განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა



თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი გ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების თაობაზე. ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

– 2017 წლის 19 სექტემბერს, თბილისში, ბრალდებულს შელაპარაკება მოუვიდა ზვიად ლ.-სთან. განაწყენებულმა გიორგი გ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით მას დანით კისრის, გულ-მკერდისა და სხეულის სხვა მიდამოში 7 ჭრილობა მიაყენა, რა დროსაც ამ უკანასკნელს ზურგის ტვინი დაუზიანდა. დაზარალებულს დროულად გაწეული სამედიცინო დახმარებით სიცოცხლე შეუნარჩუნდა, თუმცა მას გულ-მკერდის მეორე მალის დონიდან ქვემოთ დაქვეითებული მგრძნობელობა და შეზღუდული მოძრაობა აქვს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო და არსებითი განხილვის კოლეგიამ, დასაბუთებულად მიიჩნია პროკურატურის შუამდგომლობა, პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის თაობაზე, ვინაიდან ბრალდებულს ბრალად ედება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენა, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლომ, ასევე მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და მისი დაკავება მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების შედეგად, ოზურგეთის რაიონის სოფელ გომში გახდა შესაძლებელი. შესაბამისად, ბრალდებულის მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედების, ახალი დანაშაულის ჩადენის, მართლმსაჯულების განხორციელებასა და მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელშეშლის საფრთხეთა გათვალისწინებით, სასამართლომ ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# სოფელ ყარათაკლიაში სპეცოპერაციის შედეგად ერთი პირია დაკავებული

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარათაკლიაში სპეცოპერაციის შედეგად ერთი პირია დაკავებული. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, დაკავებულს ბრალად ნარკორეალიზაცია ედება.

ეჭვმიტანილის ოჯახის წევრები მედიასთან კომენტარს არ აკეთებენ. მეზობლების თქმით, დაკავებული 25 წლამდე ასაკის მამაკაცია, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა და ცოტა ხნის წინ დაბრუნდა.




# შსს–მ გაჩიანში 6 შეკვრა ჰეროინით ნარკოტიკების რეალიზატორი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ე.გ. ნარკოდანაშაულისთვის გაჩიანში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 20 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. პოლიციამ დაკავებულის მიერ გაყიდული, 6 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით).

# ადიდებულმა მტკვარმა მამაკაცი გაიტაცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი – „112“-დან შევიდა შეტყობინება, რომ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკის მიმდებარედ, მდინარე მტკვრის მოულოდნელად ადიდების გამო, მსუბუქ ავტომობილში მყოფი 30 წლამდე მამაკაცი, რომელიც ადგილზე სამშენებლო დანიშნულების ტრაქტორს დარაჯობდა, მდინარეში აღმოჩნდა. მამაკაცი უსაფრთხო ადგილზე გამოსვლას ველარ ახერხებდა და დახმარებას საჭიროებდა.

შეტყობინების მიღებისთანავე, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს გორის სამაშველო განყოფილების მაშველთა ჯგუფი შემთხვევის ადგილზე მივიდა.

შსს-ს მაშველები ადიდებულ მდინარეში, სწრაფი დინების მიუხედავად, ნავით შევიდნენ და განსაცდელში მყოფი მამაკაცი უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს.

# გახდება თუ არა კავკასია აშშ-სა და ირანს შორის შეჯახების ადგილი?

## ევროკავშირი არ იზიარებს აშშ-ის პრეზიდენტის პოზიციას

მარიამ მჭედლიშვილი



ვაშინგტონსა და თეირანს შორის ურთიერთობების გაუარესება დაიწყო მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპი პრეზიდენტის უფლებამოსილებების შესრულებას შეუდგა. ექსპერტებმა მაშინვე განაცხადეს, რომ ამერიკა-ირანის შეჯახების მთავარ კერად იქცევა კავკასია.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ვითარება უკიდურესად დაძაბა. დონალ ტრამპმა ირანს მსოფლიოში ტერორიზმის მთავარი სპონსორი უწოდა და უარი თქვა დაემტკიცებინა ირანის მიერ ვალდებულებების შესრულება.

თეთრი სახლის ლიდერმა უარი თქვა იმ გეგმის სერტიფიცირებაზე, რომელსაც ირანი შეთანხმების საფუძველზე ასრულებს. მას ოფიციალურად ეწოდება ერთობლივი საყოველთაო მოქმედებების გეგმა. ესაა 2015 წელს მიღებული ბირთვული შეთანხმება, რომელიც ირანთან გააფორმეს აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, საფრანგეთმა და რუსეთმა. მაშინ ირანი წავიდა დათმობაზე ბირთვულ სფეროში, სანაცვლოდ კი მას მოეხსნა მანამდე დაწესებული მკაცრი სანქციები.

დონალდ ტრამპი დაიმუქრა, რომ ბირთვული გარიგების მოქმედებას შეწყვეტს. კონკრეტული ნაბიჯები კონგრესის გადასადგმელია.

დასავლელი ექსპერტების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ბირთვული შეთანხმების გარეშე ირანის შეკავება შეუძლებელი იქნება. მათი აზრით, უმჯობესია ამ შეთანხმების შეცვლა. კერძოდ, ირანს უნდა აეკრძალოს მუშაობა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების შექმნაზე.

პრეზიდენტ ტრამპის პოზიცია ჯერჯერობით ისევ ხისტია. იგი მიიჩნევს, რომ ირანს სანქციები უნდა გაუგრძელდეს.

ამ პოზიციას არ იზიარებენ ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი. ისინი აცხადებენ, რომ ირანთან დადებული შეთანხმება უნდა გაგრძელდეს. ისინი არც ირანთან ეკონომიკურ თანამშრომლობას ეწინააღმდეგებიან.

ევროკავშირის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი ფედერიკა მოგერინი აღნიშნავს, რომ აშშ-ს ცალმხრივად არ შეუძლია ბირთვული პროგრამის ირანთან დადებული შეთანხმებიდან გამოსვლა, ვინაიდან ის გამტკიცებულია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით.

მკაცრ განცხადებას აკეთებს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ზიგმარ გაბრიელი. მისი თქმით, ამერიკული პოზიცია აიძულებს ევროკავშირს, რომ ამ საკითხში ამერიკის წინააღმდეგ რუსეთთან და ჩინეთთან ერთად დადგეს.

მძიმე პროგნოზებს აკეთებს ამერიკული პრესა. მედია არ გამორიცხავს, რომ დაპირისპირება ვაშინგტონსა და თეირანს შორის სამხედრო შეჯახებამდე მივიდეს.

ზოგიერთი ამერიკელი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ტრამპს სურს, ირანი ლიბიად გადააქციოს. ლიბიამ მსგავსი მოვლენები გადაიტანა. თავის დროზე ტრიპოლიც წავიდა შეთანხმებაზე ვაშინგტონთან. ლიბიამ უარი თქვა ბირთვულ იარაღზე, კომპენსაციები გადაუხადა ტერაქტის შედეგად დაზარალებულებს, რის შემდეგ ამერიკამ მას სანქციები მოუხსნა. 2011 წელს, როცა ლიბიის მაშინდელი ლიდერის, კადაფის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები, ანუ, „არაბული გაზაფხული“ დაიწყო, აშშ დადგა იმათ მხარეს, ვისაც კადაფის დამხობა უნდოდა. მალე კადაფი მოკლეს.

ანალიტიკოსების თქმით, ლიბიის მაგალითი კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თეირანს, რომელიც აყოვნებდა ბირთვული შეთანხმების დადებას.

ეს მოვლენები, ისევე, როგორც ბოლო დროს ჩამოყალიბებული ალიანსი ირანს, თურქეთსა და რუსეთს შორის, პირდაპირ აისახება სიტუაციაზე კავკასიაში.



# აშშ-მ ისლამისტების ბაზას დაარტყა

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა იემენში ისლამური სახელმწიფოს ბაზაზე დარტყმა განახორციელეს. მოკლულია 40-მდე ექსტრემისტი.

ექსტრემისტები იემენის იმ ტერიტორიაზე გამაგრდნენ, რომელსაც იქაური ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. აქ ახალწვეულთა სწავლება მიმდინარეობდა. ისინი ეუფლებოდნენ იარაღის ხმარებას, ხელჩართული ბრძოლის ილეთებს, ადგილზე ორიენტირებას და ა.შ. აქვე იგეგმებოდა საბრძოლო ოპერაციებიც, მათ შორის აშშ-ზე მორიგი ტერორისტული შეტევები.

# დემოკრატიული სირიის ძალებმა რაქა აიღეს



კოალიცია „დემოკრატიული სირიის ძალებმა“ ქალაქი რაქა ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან გაათავისუფლა.



ამის შესახებ სააგენტო კოალიციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ტალალ სილომ, განაცხადა.

— ოპერაცია დასრულებულია, ქალაქი „დემოკრატიული სირიის ძალების“ სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება, — განაცხადა მან.

რაქას შტურმი კოალიციამ 6 ივნისს დაიწყო. კოალიცია „დემოკრატიული სირიის ძალები“ აშშ-ის მხარდაჭერით სარგებლობს, მისი მებრძოლების უმრავლესობას კი ქურთები შეადგენენ.

„ისლამურ სახელმწიფოს“ რაქა სირიაში საკუთარ დედაქალაქად ჰქონდა გამოცხადებული.

# უკრაინა-ევროკავშირი: შეთანხმების გადახედვა არ მოხდება!



გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა მიუღებელი უწოდა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას იმის თაობაზე, რომ უკრაინა-ევროკავშირის შეთანხმება ასოცირების თაობაზე უნდა გადაიხედოს.

— ეს გამორიცხულია! — ამბობს მერკელი.

ასეთ პოზიციაზე დგას საფრანგეთის ლიდერი მაკრონიც. უკრაინას მხარდაჭერა გამოუცხადეს აგრეთვე პოლონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ და ესტონეთმა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, უკრაინა გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის საბჭოში აირჩიეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


# განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ეპიცენტრში ისევ დედაქალაქური დერბია

## 18 ოქტომბერი

### სამტრედია-დინამო (ბთ)

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

წინა ტურში ორივე გუნდმა მნიშვნელოვანი მატჩები მოიგო. სამტრედია ისევ დარჩა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, ხოლო ბათუმელები პლეი აუტის თავიდან ასაცილებლად იბრძვიან და გორელებთან სხვაობა შეამცირეს.

დღესაც ორივე გუნდს მოგება სჭირდება, მაგრამ ფავორიტი სამტრედიაა. იმერლები ამ ეტაპზე გაცილებით ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

### შუქურა-ჩიხურა

**ბათუმი. რაგბი არენა**

ჩიხურას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ ტურნირის ბოლოს მეოთხე, ევროთასებზე მათთვის გამსვლელ ადგილზე იქნებიან. თუმცა, იგივეს გაკეთებას ზემო იმერლები თასიდან შეეცდებიან, მხოლოდ იქ დაზღვეულნი არ არიან, მე-4 ადგილი კი ამის პირდაპირი გარანტია გახდება.

ერთია, ამ ბრძოლაში მათ ორი უშუალო კონკურენტი ჰყავთ და სხვაობაც სოლიდურია.

7 ქულას აგებს შუქურა პლეი აუტში მოსახვედრი ადგილიდან. თუ ამ ჩამორჩენას ვერ აღმოფხვრის, ელიტიდან დაქვეითება ემუქრებათ. ამიტომაც ამ მატჩს მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობაც კი აქვს.

## 19 ოქტომბერი

### ლოკომოტივი-საბურთალო

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

მორიგი დედაქალაქური დერბი – ორი საინტერესო და ახალგაზრდული გუნდების ჯახი, რომელსაც ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია.

ლოკოც და საბურთალოც მე-4 ადგილისთვის იბრძვიან და უშუალო კონკურენტები არიან. სადღეისოდ, ლოკომოტივი 2 ქულით არის წინ და ამით უკვე ნათქვამია, რა სჭირდება საბურთალოს – მოგების შემთხვევაში თავად აინაცვლებენ სასურველ ადგილზე.

### კოლხეთი-ტორპედო

**ფოთი. პარკი არენა**

ფოთში ფეხბურთი ბრუნდება – კოლხეთი სამტრედიიდან მშობლიურ ქალაქში გადაინაცვლებს და შეეცდება 3 ქულის მოპოვებას.

კოლხეთისთვის ახლა ყველა ქულა მნიშვნელოვანია. ფაქტია, ისინი მინიმუმ პლეი აუტს თავიდან ვერ აიცილებენ, მაგრამ შეუძლიათ პირდაპირ ბოლო ადგილით არ გავარდნენ. თუ კოლხები რიონისპირულ დერბიში ქულის აღებას მაინც შეძლებენ, ტორპედოს საჩემპიონო ბრძოლას ჩამოაშორებენ. ეს კი ქუთაითურთა გეგმებში არ წერია.

### დილა-დინამო (თბ)

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს გორში. დილამ წარმატებული სერია წინა ტურში შეწყვიტა, თანაც უშუალო კონკურენტთან და ახლა ბათუმის დინამოს სუნთქვა ესმის. ზედმეტი გართულებების თავიდან ასარიდებლად, გორელებს თბილისის დინამოს დამარცხება სჭირდებათ, მაგრამ შეძლებენ ამას ჩემპიონატის ლიდერთან?

დინამოსაც ჰაერივით სჭირდება ქულები – მათაც სერიოზული მდევარი ჰყავთ საჩემპიონო რბოლაში. პლუს დედაქალაქელები კარგ ხასიათზე ხვდებიან დილასთან შეხვედრას, რადგან მცირე ჩავარდნის შემდეგ პრობლემები დაალაგეს და წინა ტურში ლოკომოტივს ხარისხიანი თამაშით მოუგეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 29 | 19 | 5 | 5 | 69-25 | 62 |
| 2.ტორპედო | 29 | 17 | 7 | 5 | 45-22 | 58 |
| 3.სამტრედია | 29 | 16 | 7 | 6 | 46-31 | 55 |
| 4.ლოკომოტივი | 29 | 15 | 3 | 11 | 54-38 | 48 |
| 5.საბურთალო | 29 | 14 | 4 | 11 | 50-36 | 46 |
| 6.ჩიხურა | 29 | 12 | 4 | 13 | 35-46 | 40 |
| 7.დილა | 29 | 9 | 7 | 13 | 34-41 | 34 |
| 8.დინამო (ბთ) | 29 | 10 | 2 | 17 | 25-45 | 32 |
| 9.კოლხეთი | 29 | 4 | 8 | 17 | 27-57 | 20 |
| 10.შუქურა | 29 | 2 | 7 | 20 | 28-72 | 13 |



## შედეგები

**16 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი ............. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 8 | 7 | 1 | 0 | 29-4 | 22 |
| 2.მანჩესტერი | 8 | 6 | 2 | 0 | 21-2 | 20 |
| 3.ტოტენჰემი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-5 | 17 |
| 4.უოტფორდი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-13 | 15 |
| 5.ჩელსი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-8 | 13 |
| 6.არსენალი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-10 | 13 |
| 7.ბარნლი | 8 | 3 | 4 | 1 | 8-6 | 13 |
| 8.ლივერპული | 8 | 3 | 4 | 1 | 13-12 | 13 |
| 9.ნიუკასლი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-8 | 11 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 8 | 2 | 4 | 2 | 7-9 | 10 |
| 11.საუთჰემპტონი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-9 | 9 |
| 12.ჰადერსფილდი | 8 | 2 | 3 | 3 | 5-9 | 9 |
| 13.სუონსი | 8 | 2 | 2 | 4 | 5-8 | 8 |
| 14.ბრაიტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-10 | 8 |
| 15.ვესტ ჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-14 | 8 |
| 16.ევერტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 5-13 | 8 |
| 17.სტოკი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-18 | 8 |
| 18.ლესტერი | 8 | 1 | 3 | 4 | 10-13 | 6 |
| 19.ბორნმუთი | 8 | 1 | 1 | 6 | 4-12 | 4 |
| 20.კრ.პალასი | 8 | 1 | 0 | 7 | 2-18 | 3 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლას პალმასი-სელტა ...................... 2:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 8 | 7 | 1 | 0 | 24-3 | 22 |
| 2.ვალენსია | 8 | 5 | 3 | 0 | 21-10 | 18 |
| 3.რეალი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| 4.ატლეტიკო | 8 | 4 | 4 | 0 | 13-5 | 16 |
| 5.სევილია | 8 | 5 | 1 | 2 | 9-4 | 16 |
| 6.ლეგანესი | 8 | 4 | 2 | 2 | 7-3 | 14 |
| 7.სოსიედადი | 8 | 4 | 1 | 3 | 19-17 | 13 |
| 8.ვილიარეალი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 9.ბეტისი | 8 | 4 | 1 | 3 | 17-17 | 13 |
| 10.სელტა | 8 | 3 | 2 | 3 | 18-13 | 11 |
| 11.ბილბაო | 8 | 3 | 2 | 3 | 10-9 | 11 |
| 12.ლევანტე | 8 | 2 | 4 | 2 | 8-10 | 10 |
| 13.ესპანიოლი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-11 | 9 |
| 14.ხეტაფე | 8 | 2 | 2 | 4 | 10-9 | 8 |
| 15.დეპორტივო | 8 | 2 | 2 | 4 | 9-16 | 8 |
| 16.ეიბარი | 8 | 2 | 1 | 5 | 3-17 | 7 |
| 17.ხირონა | 8 | 1 | 3 | 4 | 7-13 | 6 |
| 18.ლას პალმასი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-18 | 6 |
| 19.ალავესი | 8 | 1 | 0 | 7 | 3-12 | 3 |
| 20.მალაგა | 8 | 0 | 1 | 7 | 4-18 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ლუგო ......................... 0:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დარმშტადი-ნიურნბერგი .............. 3:4

**იტალია. სერია ა**

ვერონა-ბენევენტო ......................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 8 | 8 | 0 | 0 | 26-5 | 24 |
| 2.ინტერი | 8 | 7 | 1 | 0 | 17-5 | 22 |
| 3.იუვენტუსი | 8 | 6 | 1 | 1 | 21-7 | 19 |
| 4.ლაციო | 8 | 6 | 1 | 1 | 21-10 | 19 |
| 5.რომა | 7 | 5 | 0 | 2 | 14-5 | 15 |
| 6.სამპდორია | 7 | 4 | 2 | 1 | 11-9 | 14 |
| 7.ბოლონია | 8 | 4 | 2 | 2 | 8-8 | 14 |
| 8.ტორინო | 8 | 3 | 4 | 1 | 14-13 | 13 |
| 9.კიევო | 8 | 3 | 3 | 2 | 9-9 | 12 |
| 10.მილანი | 8 | 4 | 0 | 4 | 12-13 | 12 |
| 11.ფიორენტინა | 8 | 3 | 1 | 4 | 12-11 | 10 |
| 12.ატალანტა | 8 | 2 | 3 | 3 | 13-13 | 9 |
| 13.უდინეზე | 8 | 2 | 0 | 6 | 13-15 | 6 |
| 14.კალიარი | 8 | 2 | 0 | 6 | 6-14 | 6 |
| 15.კროტონე | 8 | 1 | 3 | 4 | 6-14 | 6 |
| 16.ვერონა | 8 | 1 | 3 | 4 | 4-16 | 6 |
| 17.ჯენოა | 8 | 1 | 2 | 5 | 8-13 | 5 |
| 18.სპალი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-14 | 5 |
| 19.სასუოლო | 8 | 1 | 2 | 5 | 4-15 | 5 |
| 20.ბენევენტო | 8 | 0 | 0 | 8 | 2-19 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ვირტუსი-ემპოლი ........................... 2:3

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლორიანი-ნიორი ............................ 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ტოსნო ................................ 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-ოსმანლი ............................. 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-პოგონი .......................... 3:0

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ლუნგბიუ ......................... 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-ჰამარბი .......................... 2:0

ნორჩიოპინგი-მალმიო .................... 1:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

სარპსბორგი-სტაბეკი ..................... 2:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ინტერი-ჰიფკი ............................... 4:1

ჰიკი-ლახტი ................................... 3:0

ჯჯკ-მარიეჰამნი ............................ 1:0

# მასიმილიანო ალეგრი: „ბარსაში მესის ნაცვლად რომ მეთამაშა, ისინი ჩემპიონთა ლიგას ვერ მოიგებდნენ“



ტურინის იუვენტუსი ისევ რჩება სერია ა-ს ფავორიტად, მაგრამ წელს კონკურენტები უფრო მრავლად ჰყავს. სწორედ ამ და სხვა საინტერესო თემებზე საუბრობს ტურინელთა მთავარი მწვრთნელი მასიმილიანო ალეგრი.

***– იუვენტუსს კარგი სტარტი კი გამოუვიდა, მაგრამ ბოლო 2 მატჩი ჩააგდო და ახლა ნაპოლის 5 ქულით ჩამორჩება. ხომ არ ღელავთ?***

– არა, ჩვენ პატივს ვცემთ ნაპოლის, ინტერს და რომას. მილანმაც დიდი სამუშაო გასწია, რომ ოთხეულისთვის იბრძოლონ, მაგრამ ახლა ისინი ცოტათი ჩამორჩებიან სხვებს. ამ სეზონში ეს 5 გუნდი იბრძოლებს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის, თუ ლაციო არ ჩაერია საქმეში.

***– განსაკუთრებით შთამბეჭდავი მოჩანს ნაპოლის თამაში.***

– ეს გასაკვირიც არ არის. ნაპოლი გაიზარდა, ისინი 3 წელია ერთი შემადგენლობით თამაშობენ. იუვენტუსი იცვლებოდა, მაგრამ განაგრძობს გამარჯვებებს. ნაპოლიში ესმით, რომ ისინი ჩვენთან ერთად ფავორიტები არიან, მაგრამ ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. როგორც ყოველთვის, სეზონის ბედი მარტში გადაწყდება. სკუდეტოს მოსაგებად 86 ქულა იქნება საჭირო, ნაპოლის და რომას მოუწევთ გადაწერონ თავიანთი რეკორდები.

***– იგუაინი ფორმიდან ჩანს ამოვარდნილი.***

– იგუაინი ვალდებულია უფრო გადამწყვეტი როლი ითამაშოს. არა აქვს მნიშვნელობა, 25 გოლს გაიტანს თუ 30-ს, მთავარია, ეს იყოს გადამწყვეტი გოლები. ის ახლა უკეთეს ფორმაშია. სანაკრებო პაუზისას განუწყვეტლივ ვარჯიშობდა, მაგრამ ჯერ კიდევ 100%-ით არაა მზად და თავის შესაძლებლობის მხოლოდ 50% აჩვენებს.

***– დიბალა საუკეთესოა ვინც გაგიწვრთნიათ?***

– ძნელია შეადარო, რადგან ყველა სხვადასხვა პოზიციაზე თამაშობს. მე გამიმართლა, რომ ვმუშაობდი პირლოსთან, რომელსაც სხვა როლი ჰქონდა, მაგრამ იყო უდიდესი ტალანტი. რონალდინიოს ტალანტიც ნორმის ფარგლებს სცდებოდა, ერთხელ ბარსელონას წინააღმდეგ თამაშში „კამპ ნოუ“ 10 წუთი უკრავდა ტაშს. ასევე მყავდა კასანო, რობინიო და იბრაჰიმოვიჩი, რომელსაც თავისებური ტალანტი აქვს, მაგრამ განსხვავდება სხვებისგან. დიბალა 23 წლისაა, ის ვალდებულია გაიზარდოს სერიოზულად, შარშანდელთან შედარებით ის შეიცვალა ფიზიკურად. მან უნდა ისწავლოს, როგორ მიუდგეს თამაშებს, რადგან ზოგ მათგანში მას ცოტა ენერგია შერჩა. მან უნდა ისწავლოს ენერგიის განაწილება და შეარჩიოს მომენტი, როცა საჭიროა აფეთქება. ასევე მან უნდა იმუშაოს მარჯვენა ფეხზე. ეს ეხება ბერნარდესკისაც, თუ არადა დარჩებიან „ცალფეხად“. ისინი უნიჭიერესი ბიჭები არიან.

***– წელს რა უფრო მნიშვნელოვანია იუვენტუსისთვის – სერია თუ ჩემპიონთა ლიგა?***

– იუვენტუსში ყველა თამაში მნიშვნელოვანია. საშუალო გუნდში შენ შეგიძლია 2-ჯერ გააკეთო კარგი რამ და 8-ჯერ შეცდე, იქ მხოლოდ კარგზე ისაუბრებენ და არავინ ილაპარაკებს 8 შეცდომაზე. იუვენტუსში ყველაფერს ითვლიან. დიდ გუნდში უნდა იმარჯვებდე, ხასიათის ასპექტები ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს.

***– ვის თვლით ჩემპიონთა ლიგის ფავორიტად?***

– რეალი ჩემპიონთა ლიგის მთავარი ფავორიტია. ისინი ცოტა მოეშვნენ და ქულები დაკარგეს, მაგრამ შემდეგ სწორი ნაბიჯები გადადგეს, დორტმუნდში ბორუსიასთან 70% აჩვენეს და მოიგეს. ბარსელონას ჰყავს მესი, რომელიც ქმნის სხვაობას. პსჟ ახლა გაურკვეველია, მაგრამ მათ ჰყავთ ნეიმარი, მბაპე, კავანი, ალვეში. ვნახოთ, მარტისთვის რა გუნდი დადგება.

***– გაკლიათ გუნდში დანი ალვეში?***

– ის ძლიერი ფეხბურთელია, ტექნიკური, რომელმაც ჩვენთან დიდი როლი ითამაშა გასული სეზონის მეორე ნახევარში.

***– ლეონარდო ბონუჩი?***

– ლეო საჭირო მოთამაშე იყო, მაგრამ იუვენტუსის ისტორია მარტივია, ბევრი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ტოვებდა გუნდს. ბერლინის შემდეგ, პირლოს, ტევესის, ვიდალის წასვლის გათვალისწინებით, თითქოს იუვენტუსი დამთავრდა, მაგრამ ამის ნაცვლად ჩვენ გადატვირთვა მოვახდინეთ. იგივე ეხება პოგბას და მორატას წასვლას. კლუბმა შესანიშნავი სამუშაო გასწია.

***– ანუ კლუბში მწვრთნელია მთავარი?***

– ღიმილს მგვრის სიტყვები, რომ თამაშებს მწვრთნელები იგებენ ტაქტიკური სქემების წყალობით. ყველა ფეხბურთელი თანაბარი რომ იყოს, პსჟ ნეიმარში 222 მილიონს არ გადაიხდიდა, მესი 21 მილიარდი არ ეღირებოდა, დიბალა კი 170 მილიონი. შენ შეგიძლია რამე გეგმები გქონდეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს არის ბურთი და შენ მასთან კარგად უნდა მეგობრობდე, სხვანაირად კლუბები არაფერს არ დახარჯავდნენ. კალათბურთში ლეიკერსი და ფილადელფია იმიტომ იგებდნენ, რომ ლეიკერსს მეჯიკ ჯონსონი ჰყავდა, ხოლო ფილადელფიას ჯულიუს ირვინგი. პატივისცემის მიუხედავად, ლეიკერსში ანდრეა სკოკერას რომ ეთამაშა ლივორნოდან, რომელსაც არასოდეს ჩაუგდია ბურთი კალათში, მე რომ მეთამაშა ბარსაში მესის ნაცვლად, ისინი ვერ მოიგებდნენ ვერც ერთ ჩემპიონთა ლიგას.

# მოურინიო და მანჩესტერი კონტრაქტს ზაფხულში გაახანგრძლივებენ

ევროპული პრესა აქტიურად ალაპარაკდა ჟოზე მოურინიოს პსჟ-ში სამომავლოდ გადასვლაზე. ამ ვერსიაზე საუბარი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც პორტუგალიელმა პსჟ-ს შესახებ აზრი ფრანგულ სატელევიზიო არხთან მიცემულ ინტერვიუში გამოხატა. თუმცა ბიბისის სპორტული კომენტატორი, საიმონ სთოუნი ირწმუნება, რომ ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მოურინიოსა და იუნაიტედის ხელმძღვანელობას შორის, მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე დაიწყება.

ვნახოთ, რა თქვა მოურინიომ ფრანგულ მედიასთან:

– მე კვლავ მამოძრავებს ამბიციები, რომელიც ჩემს სამწვრთნელო კარიერას უკავშირდება. ყოველთვის მაქვს სურვილი, გავაკეთო რაიმე ახალი. ამჟამად დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს სამწვრთნელო კარიერას იუნაიტედში არ დავასრულებ.



ჟოზემ ასევე რამდენიმე საქებარი სიტყვა არ დაიშურა ფრანგული პსჟ-ს მიმართ. ეს კი შეიძლება სკანდალის მიზეზი გახდეს, განაცხადა სთოუნმა და ასევე დაამატა ისიც, რომ კლუბმა მოურინიოსთან 3-წლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა ავტომატურდ 1 წლის გახანგრძლივებით, ასე რომ, სანამ მინიმუმ 2020 წელი არ გახდება, ჟოზე მოურინიოს მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლაზე საუბარი ზედმეტია.

მარტივად შესაძლებელია ის, რომ მოურინიოსთან მოლაპარაკებები ახალ კონტაქტზე, მისი ამჟამინდელი კონტრაქტის ამოწურვამდე დაიწყოს.

რა თქმა უნდა, მას გარკვეული იმედგაცრუებები აქვს, გუნდის ხელმძღვანელობის მხრიდან და ეს ძირითადად სატრანსფერო პოლიტიკას ეხება, კერძოდ, პორტუგალიელი უკმაყოფილოა იმით, რომ კლუბმა ვერ შეიძინა ინტერის შემადგენლობაში მოთამაშე ივან პერიშიჩი. ასევე შესამჩნევი იყო ის ფაქტიც, რომ ლივერპულთან დაპირისპირების შემდგომ ჟოზემ ინტერვიუ არ მისცა იუნაიტედის ტელეარხს, მაგრამ ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ პორტუგალიელი სადმე წასვლას აპირებს ახლო მომავალში, მას არ დავიწყებია ის სიტყვები, რომელიც მან იუნაიტედში მოსვლისთანავე თქვა, რომ დიდი ხნის მანძილზე სურს დარჩენა „ოლდ ტრაფორდზე“.

# ლევანდოვსკის ოქროს ოქტომბერი

ოქროსფერი შემოდგომა დაუდგა რობერტ ლევანდოვკის – მან ჯერ პოლონეთის ნაკრები გაიყვანა მსოფლიო ჩემპიონატზე, შემდეგ კი წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი, ხოლო ქალაქ კუზნია-რაციბორსკაიაში მის პატივსაცემად ქუჩას მისი სახელი მიანიჭეს.

29 წლის ფორვარდს მოედანზეც მშვენივრად მისდის საქმეები. შაბათს ლევანდოვსკიმ ფრაიბურგთან მატჩში თავისი მე-9 გოლი გაიტანა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში.

ლევანდოვსკი კმაყოფილი დარჩა იუპ ჰაინკესის პირველი კვირის სამწვრთნელო მოღვაწეობით.

რობერტ ლევანდოვსკი:

– მწვრთნელს სურს, რომ ჩვენ დეტალებზე გავამახვილოთ ყურადღება. ვარჯიშებზე თითოეული პასი, თითოეული დარტყმა კარის მიმართულებით მნიშვნელოვანია. ჩვენ ყოველთვის კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ. წინ უნდა მივიწევდეთ როგორც ერთი გუნდი და ვეცადოთ ფეხბურთისაგან სიამოვნება მივიღოთ.

თავისი გოლებით ლევანდოვსკი ნამდვილად ხელს უწყობს კოლექტივში კარგი განწყობის შექმნას. თავის ბოლო 12 მატჩში ჩემპიონთა ლიგაზე პოლონელმა თავდამსხმელმა 10-ჯერ გამოიჩინა თავი. 24 გოლით ანგარიშზე ის ყველაზე შედეგიანი უცხოელი ბომბარდირია ბავარიის ისტორიაში. ლევანდოვსკის, ისევე, როგორც გუნდის ყველა წევრს, სურს ფრაიბურგის ტრიუმფი ახალი სერიის დასაწყისი გახდეს:

– ჩვენ გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ უნდა მივიწევდეთ, – განაცხადა ამბიციურმა პოლონელმა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად წელს 15 მილიონ ლარამდე დაიხარჯა

– აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად წელს 15 მილიონ ლარამდე დაიხარჯა.

ამის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ნიკოლოზ მესხმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელიც აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს მიეძღვნა.

ნიკოლოზ მესხის თქმით, აღნიშნული თანხა შესაწამლი პესტიციდების, ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატების შეძენას დასჭირდა, ასევე, 3.000-მდე ადამიანი დასაქმდა მავნებლის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების განსახორციელებლად. აღნიშნული პირების ქიმიური პრეპარატებისგან დაცვის მიზნით ასევე შეიძინეს ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა.

ნიკოლოზ მესხმა აღნიშნა, რომ ამ მომენტისათვის აზიური ფაროსანა უკვე გამოსაზამთრებლად თბილ ადგილებში იწყებს გადასვლას. მისივე თქმით, ღონისძიებების გატარება გაზაფხულიდან გაგრძელდება, როდესაც ფაროსანა გამრავლებისა და კვებისათვის მწვანე მცენარეებზე ისევ გადაინაცვლებს.



– მავნებელი თავისი ბიოლოგიიდან გამომდინარე ახლა უკვე გამოსაზამთრებელ ადგილებში შედის და სამალავისკენ მიიწევს, რაც ადამიანისათვის შესაძლოა შეუმჩნეველი იყოს, შეუძლებელი იყოს მისი პოვნა, მაგრამ გაზაფხულზე, როდესაც გადაადგილდება, ამ დროს მექანიკური ღონისძიებების განხორციელებას უფრო მაღალი ეფექტი აქვს. გაზაფხულზე, როდესაც ჰაერის ტემპერატურა 15 გრადუსს გადააჭარბებს, ეტაპობრივად იწყება მათი გამოსვლა. ფაროსანა გადაადგილდება სხვადასხვა მწვანე მცენარეებზე, სადაც კვებას, გამრავლებას იწყებს და მთელი სეზონის განმავლობაში მავნებლობს. ზუსტად ამ დროისთვის ჩვენ ძალიან აქტიურად ვიქნებით ჩართულები მომავალი წლის პროგრამისთვის, რათა მავნებლის რიცხოვნობა მინიმალურამდე დავიყვანოთ. თუმცა მხოლოდ ჩვენი სააგენტო ამ ღონისძიებების მასშტაბებს ვერ გაწვდება. სხვა უწყებების, ასევე თითოეული ფერმერის ჩართულობაა საჭირო, რათა გვქონდეს ისეთი შედეგი, როგორც ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვა ქვეყნებს ჰქონდათ, – განაცხადა ნიკოლოზ მესხმა.

მისივე თქმით, დასავლეთ საქართველოს ოთხ რეგიონში 110.000 ჰექტარი ფართობი შეიწამლა.

როგორც ნიკოლოზ მესხმა აღნიშნა, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში სპეციალისტების მიერ აზიური ფაროსანა აღმოჩენილი არ არის, თუმცა ფერმერებისა და მოსახლეობის ინფორმირება უკვე იქაც მიმდინარეობს.

რაც შეეხება თბილისში, ვაკის პარკში ფაროსანას აღმოჩენას, ნიკოლოზ მესხმა განაცხადა, რომ დედაქალაქის ყველა პარკში შესაბამისი დამჭერი ხაფანგები განათავსეს.

## ძლიერი წვიმის გამო ქედის რაიონში 15-მა ოჯახმა საცხოვრებელი დატოვა

სამდღიანმა ძლიერმა წვიმამ მეწყრული პროცესები განავითარა მაღალმთიან აჭარაში. ქედის რაიონში 15 ოჯახს ემუქრება საფრთხე, მათ საცხოვრებელი სახლები დატოვეს, დატბორილია საკარმიდამო ნაკვეთებიც. სამ თემს არ მიეწოდება ელექტროენერგია, ადგილზე შესაბამისი სამსახურები მუშაობენ.

რაც შეეხება ხულოს, მეწყერი სოფელ იაკობაძეების საჯარო სკოლასთანაც ჩამოწვა, დაზიანებულია გზის ნაწილი და შენობას საფრთხე ემუქრება, თუმცა სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა. მეორე დღეა ჩაოსა და ღურტას მოსახლეობა გარესამყაროსაა მოწყვეტილი. დაბა ხულოს სასმელი წყალი არ მიეწოდება.

## ჰარი პოტერის ორთქლმავალმა ჭაობში ჩარჩენილი ოჯახი გადაარჩინა

ორთქლმავალი ჰარი პოტერის ფილმებიდან დაეხმარა მრავალშვილიან ოჯახს, თავი დაეღწია შოტლანდიის ჭაობიდან. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

ჯონ და ჰელენ კლიუეტები თავიანთ ოთხ შვილთან ერთად, 6-დან 12 წლის ასაკამდე, შოტლანდიაში, ლოჰაბერში ტყეში მდებარე სახლში ისვენებდნენ. ნაპირებიდან გადმოსულმა მდინარემ მათი ბაიდარი, რომლითაც ისინი ამ ადგილზე მიცურდნენ, წაიღო. ამ ადგილისთვის თავის დასაღწევად ოჯახს დიდი გზა ჰქონდა გასავლელი ჭაობში.

ჯონ კლიუეტმა პოლიციასთან დაკავშირება მოახერხა და დახმარება ითხოვა. პოლიცია, თავის მხრივ, დაუკავშირდა რკინიგზას და შეუთანხმდა, რომ უახლოესი მატარებელი, რომელიც სახლიდან 400 მეტრში ჩაივლიდა, შეჩერდებოდა და ტურისტებს აიყვანდა.




ოჯახის გასაკვირად, მათ წასაყვანად მივიდა ორთქლმავალი, რომელიც ჰარი პოტერზე გადაღებულ ფილმებში იყო ნაჩვენები. ფილმში ის გამოყენებული იყო, როგორც ჰოგვარტსის ექსპრესი, მატარებელი, რომელსაც სტუდენტები ჯადოქრების სკოლაში მიჰყავდა.

## ამერიკელმა ავტომობილი სიჩუანის სოუსის პაკეტში გაცვალა

ამერიკელმა ავტომობილი გაცვალა სიჩუანის სოუსის პაკეტში, რომელიც სერიალ „რიკი და მორტიშია“ ნახსენები. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

მან მიჩიგანის შტატის ქალაქ მაკომბის მცხოვრები, 23 წლის რეიჩელ მერი, დაიყოლია, მისთვის სოუსი 2000 წლის გამოშვება ფოლკსვაგენ გოლფში გაეცვალა. მისი თქმით, მას ეს სოუსი სჭირდება, ხოლო სამგზავროდ სხვა მანქანით ისარგებლებს.

მერიმ სოუსი შეიძინა აქციის დროს, რომელსაც „მაკდონალდსი“ ატარებდა. გოგონას 45 წუთი დასჭირდა დეტროიტამდე მისაღწევად, მრავალი საათი გაატარა რიგში და შეიძინა პაკეტი, რომელიც გაყიდვაში მხოლოდ ერთი დღით იყო გამოტანილი.




როდესაც გოგონამ სოუსის ფოტოსურათი ფეისბუქში გამოაქვეყნა, სერიალის მოყვარულებისგან, რომლებმაც მისი შეძენა ვერ მოასწრეს, უამრავი წინადადება მიიღო. საბოლოოდ კი არჩევანი ავტომობილზე შეაჩერა

## იაპონელებმა ხელოვნურინტელექტიანი მოტოციკლი შექმნეს



იაპონურმა კომპანია იამაჰამ წარმოადგინა ხელოვნური ინტელექტით მართვადი კონცეპტბაიკი Motoroid. ამის ამსახველი ვიდეორგოლი იუთუბიზე იქნა განთავსებული.

ელექტრომოტოციკლის ოფიციალური პრემიერა ტოკიოს 45-ე საერთაშორისო ავტოსალონზეა დაგეგმილი, რომელიც 27 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით გაიმართება. სიახლის ტექნიკური მონაცემები გასაიდუმლოებულია, თუმცა კომპანიის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ასეთი მოტოციკლის მძღოლი ღრმა სულიერ სიმშვიდესა და კმაყოფილებას იგრძნობს. ტოკიოს ავტოსალონის დროს იამაჰა გადაადგილების 20 კონცეპტუალურ საშუალებას წარმოადგენს.

## ქარიშხალ „ოფელიას“ დროს ირლანდიელების გაცურვა ვიდეოზე გადაიღეს

თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო ირლანდიელების ბანაობა იმ დროს, როდესაც ქარიშხალი „ოფელია“ მძვინვარებდა. ვიდეორგოლი იუთუბიზე იქნა განთავსებული.

კადრში მოხვდა ოთხი მოცურავე: სამი მამაკაცი და ქალი. კიდევ რამდენიმე ადამიანი მათ თვალს ნაპირიდან ადევნებდა. ვიდეოჩანაწერის ავტორმა კომენტარში განაცხადა, რომ ასეთი რამ მხოლოდ ირლანდიაში შეიძლება მოხდეს.



აღსანიშნავია, რომ, ბი-ბი-სი ნიუსის ცნობით, ქარიშხალ „ოფელიას“ სამი ადამიანი ემსხვერპლა. ორი მანქანაზე ხის დაცემის შედეგად დაიღუპა, ხოლო მესამე – იმ დროს, როდესაც ბენზოხერხით წაქცეული ხის გადახერხვას ცდილობდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 18 ოქტომბერი



**ვერძი** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **კურო** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **ტყუპები** – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **ლომი** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ. **ქალწული** – ვარსკვლავები კვლავ გმფარველობენ. სასიცოცხლო პოტენციალი ძლიერია. საქმიანი პარტნიორები მხარს გიჭერენ. **სასწორი** – კომერციული საქმიანობა იღბლიანად წარიმართება. გავლენიანი მფარველი ამაში დიდ წვლილს შეიტანს. **ღრიანკალი** – დღეს აქტიურობა მოგიწევთ. კომპრომისზე წასვლა აუცილებელია. **მშვილდოსანი** – ენერგიის მოზღვავებასა და შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **თხის რქა** – რთული დღეა. მწვავდება ქრონიკული დაავადებები. გარისკვას ნუ ეცდებით. **მერწყული** – აქტიურობას ერიდეთ. არაკეთილისმყოფელი დღეა. თავი შეიკავეთ სხვისი პრობლემების მოგვარებისაგან. **თევზები** – პროფესიულ სფეროშიც და ოჯახშიც სიტუაცია რთულია. აუცილებელია გარემოს შეცვლა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ




**შვეულად**: 1. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 2. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 3. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი; 4. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი მექანიკოსი; 9. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებელი იტალიელი ოსტატი; 7. მეტალურგიაში ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. შტატი აშშ-ში; 15. პირველი ქართველი მფრინავი; 17. მოხეტიალე მომღერალი მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 20. კურორტი ლენტეხის რაიონში.

**თარაზულად**: 5. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 6. შავი ზღვის ზვიგენი; 8. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ნახევარკუნძული შავ ზღვაში; 13. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 16. ლათინური ამერიკიდან აშშ-ში არალეგალურად შესული მუშახელის სახელწოდება; 18. ფართოდ გავრცელებული მარადმწვანე ტროპიკული მცენარე; 19. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 21. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 22. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 23. სამგზავრო გემის ზედა გემბანი, სადაც განლაგებულია სამაშველო ნავები.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რაბათი; 2. თორი; 3. პაციფისტი; 4. ფლეში; 5. ზოსტერა; 8. დივანი; 9. ბერეიტორი; 12. „ჰენესი“; 14. მაკეტი; 16. ალილო.

**თარაზულად:** 1. „რქაწითელი“; 6. ვატერლოო; 7. ბრუდერი; 9. „ბეტისი“; 10. ბიზე; 11. „კაიზერი“; 13. სამოა; 15. ბეკინა; 17. დიზაინი; 18. ველენი; 19. ბისტრო; 20. ტონიაცი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დედვეიტი; 2. გალუა; 3. „გრუნდიგი“; 4. კონუსი; 7. „ხიხვი“; 9. ატოლი; 12. „უსახელაური“; 14. პანედი; 15. „ლაუდერი“; 17. ფოცხოვი; 20. კიური.

**თარაზულად:** 5. რეფერატი; 6. ბორჩალო; 8. ოპუნცია; 10. „სუვენირი“; 11. ეტრატი; 13. პრიმასი; 16. მიკიტანი; 18. როდეო; 21. გილდია; 22. არმატურა; 23. თაკვერი.

# ეროვნული ბიბლიოთეკის განახლებულ კორპუსს ვახტანგ მეექვსის სახელი მიენიჭა



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას განახლებული, ულტრათანამედროვე კორპუსი აქვს.

ინფორმაცია ამის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა:

– საეტაპო დღეა. ეროვნულ ბიბლიოთეკას განახლებული, ულტრათანამედროვე კორპუსი აქვს – ვახტანგ მეექვსე. კორპუსში უკვე გაიხსნა ან მალე გაიხსნება ნიკოლოზ ბარათაშვილის სამკითხველო, ნოდარ დუმბაძის კაბინეტი ოჯახის მიერ გადმოცემული არქივით, გურამ შარაძის კაბინეტი ოჯახის მიერ გადმოცემული არქივით, ვახტანგ როდონაიას კაბინეტი ოჯახის მიერ გადმოცემული არქივით, ალექსანდრე ქართველის, ბარბარე ჯორჯაძის, მაქსიმე ბერძნიშვილის, ჯანრი კაშიას, რაულ ჩილაჩავას კაბინეტები.

# გიო ხუციშვილი ჯანმრთელობისთვის იბრძვის



მომღერალი გიო ხუციშვილი ჯანმრთელობისთვის იბრძვის. მას ექიმებმა ცუდი დიაგნოზი დაუსვეს.

მომღერალმა თავისი დაავადების შესახებ „თბილისელების“ ჟურნალისტთან გულახდილად ისაუბრა:

– არასდროს არაფერი მაწუხებდა. ფეხი ამტკივდა და მეგობარ ექიმთან, აჩიკო სიხარულიძესთან მივედი. მითხრა, არ მომწონს ეს შენი ფეხის ტკივილი და ჩავიტაროთ დამატებითი გამოკვლევებიო. მე არაფერი მითხრეს, მაიკოსა და ჩემს მეგობრებს გაუმხილეს ჩემი ავადმყოფობის შესახებ. კვლევამ აჩვენა ყველაზე ცუდი დიაგნოზი, რაც შეიძლება არსებობდეს. შემდეგ წავედით თურქეთში და იმ დღიდან ომში ვარ. თავდაპირველად დაავადების შესახებ როცა გავიგე, ეს დიდი დარტყმა იყო, თუმცა, ამის მიუხედავად, აქტიურად ვატარებდი კონცერტებს სხვადასხვა ქალაქში. არ ვიცი, ეს დაავადება სასჯელია თუ გამოცდა ჩემთვის. მთავარია, ვიცი, ღმერთი ჩემ გვერდით არის და მარტო არ ვარ. პირველად როცა მარტო დავრჩი თურქეთში პალატაში, მივხვდი, რომ მარტო არ ვარ და ვთქვი, ღმერთო, გადამარჩინე-მეთქი. უკვე ოთხჯერ ვიყავი ისრაელში. ექვს კვირაში ერთხელ უნდა ვიარო. ზუსტად ვიცი, წინ ბევრი ბედნიერი წამი და წუთი მელის.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ეთერ გიორგაშვილს

ჩვენო საყვარელო, დედა!

დედიკო, 18 ოქტომბერს 90 წლის გახდებოდი. უკვე ორი წელია, ჩვენთან აღარ ხარ, აღარ გვესმის შენი სიტყვები „დედა გენაცვალოთ“, შენი გულიანი ლოცვა. ამ სიტყვებისა და ლოცვის შემდეგ ყველაფერი ცუდი გვავიწყდებოდა. ნეტავ, ის დღეები კიდევ იყოს, კიდევ გვესმოდეს შენი ტკბილი სიტყვები, შენი ჩახუტება, კიდევ ბევრჯერ მოგეფერებოდით, ბევრჯერ ჩაგეხუტებოდით მაგ პატარა, დაღლილ გულში. ყველა რომ გიყვარდა და ეს ყველა კარგად გიხსენებს, ახსოვხარ.

ახლა ტკბილად განისვენეთ, ჩემო მამა, დედა, ჩემო მეუღლე – ბენო ცირიკაშვილო, სიძე ომარ ალადაშვილო. იქიდან დაგვლოცეთ. გვენატრებით.

*ბელა, პასიკო, ტატო ოჯახებით*

ვიზიარებთ, თანავუგრძნობთ მწუხარებაში ვაჟიშვილს ბაკურ დანელიას მამის, ჰუმანური, კეთილშობილი, ინტელიგენტი პიროვნების

## ივრიდი დანელიას

გარდაცვალების გამო!

ნათელში ამყოფოს უფალმა!

*კუსუნა მზარელუა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნანუკა ჟორჟოლიანი — „ნიჭიერმა“ არსებობის მანძილზე ყველაზე დაბალი რეიტინგი დაწერა... უბრალოდ, აღარ უყურეს სხვა არხზე“




სახალხო პროექტ „ნიჭიერის“ მერვე სეზონი დაიწყო. მისი წამყვანები, ტრადიციულად, გიორგი ყიფშიძე და ვანიკო თარხნიშვილი არიან. ჟიურიში შოუს პროდიუსერებმა გიორგი ხაბურზანიამ და დემნა ჯაფარიძემ საქართველოს პირველი ლედი მაკა ჩიჩუა, მსახიობი რუსკა მაყაშვილი, მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი და მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი მიიწვიეს. ჟიურის ორმა წევრმა რუსკა მაყაშვილმა და გიორგი ბახუტაშვილმა ოქროს ღილაკი უკვე გამოიყენეს და ორი კონკურსანტი პირდაპირ „ნიჭიერის“ ნახევარფინალში გადაიყვანეს.

წლევანდელ „ნიჭიერშიც“, ისევე, როგორც წინა სეზონების პროექტებში, ქართველ კონკურსანტებთან ერთად უცხოელებიც მონაწილეობენ.

„ნიჭიერის“ ახალი სეზონი დაიწყო და კამათი პროექტთან დაკავშირებით აქტიურ ფაზაში შევიდა.

რუსთავი 2-დან იმედზე გადასულმა პროექტმა მაყურებელში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილმა მიიჩნია, რომ „ნიჭიერი“ რუსთავი 2-ზე უფრო ეფექტური და ყურებადი იყო, ნაწილს კი იმედზე გადასული „ნიჭიერი“ ძალიან მოეწონა.

**ნანუკა ჟორჟოლიანი, ტელეწამყვანი:**

– „ნიჭიერმა“ არსებობის განმავლობაში ყველაზე დაბალი რეიტინგი იმიტომ კი არ დაწერა, რომ სტაფში რამე შეიცვალა, რამე ვერ გააკეთეს, რამე დააკლეს. დაწერა იმიტომ, რომ ეს შოუ იყო რუსთავი 2. ლოგო ამ არხის. მისი ორგანული ნაწილი. ამიტომ ძალიან დიდმა ნაწილმა უბრალოდ აღარ უყურა სხვა არხზე გადაცემას. მე მიყვარს „ნიჭიერი“, ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ძვირფასი ნაწილია, მაგრამ ვერანაირ წარმატებას ვერ ვუსურვებ სხვაგან. არ მიყვარს მოგონილი სოლიდარობა. ასე მოუვიდოდა ვანოს შოუსაც. რომ გადასულიყო. ძალიან ასოცირებულია რუსთავი 2-თან „ჩემი ცოლის დაქალებიც“. იმედზე დაიკარგებოდნენ, გაფერმკრთალდებოდნენ.

**ნიკა გვარამია, რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი:**

– „ნიჩიერი“ – რეიწინგ დვადცატ დვა პრაცენტა. ა მი ნაჩინალი ს ტრიდცატი პიწი, ნაძეჟდა, მოი კომპას ზემნოი.

**ია ფარულავა, მსახიობი:**

– ძალიან უძარღვო, უპულსო, რეანიმაციიდან გამოყვანილი „ნიჭიერი“ იყო... რისი ბრალი იყო, არ ვიცი.

**გიორგი ხაბურზანია, „ნიჭიერის“ პროდიუსერი:**

– მადლობა იმედის გუნდს იმისთვის, რომ რეკორდულად ცოტა დროში რეკორდულად მაღალრეიტინგიანი „ნიჭიერი“ დაიდო. რეიტინგის ყველა ოფიციალური დამთვლელით, „ნიჭიერის“ პირველმა სერიამ სატელევიზიო სეზონის რეიტინგის რეკორდი მოხსნა. „ნიჭიერი“ ყველგან „ნიჭიერია“ და ყველგან ნომერი პირველი!

**სტეფანე მღებრიშვილი, მომღერალი, „ნიჭიერის“ ჟიურის წევრი:**

–...და პირველი არხი როცა შეიქმნა და ორი საათი მაუწყებლობდა, ბაბუაჩემი რომ დაიბადა... რა მაღალი რეიტინგი ჰქონდა, იცით?!

იმედის ჟურნალისტმა ნანიკო ხაზარაძემ კამათის გასანეიტრალებლად რეიტინგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც „ნიჭიერის“ ახალი სეზონის პირველივე გადაცემამ ყველა სხვა არხის გადაცემას გაუსწრო, მათ შორის რუსთავი 2-ის გადაცემა „არჩევანსაც“. ნანიკო ხაზარაძის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, „ნიჭიერის“ მერვე სეზონის პირველივე გადაცემის რეიტინგი 21-26.61%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო გადაცემა „არჩევანის“ რეიტინგი – 4.90-5.31%-ის ფარგლებში.

# მის მსოფლიოზე ქეთი შეყელაშვილი წარგვადგენს



„მის მსოფლიო 2017“-ზე წელს საქართველოს 23 წლის ქეთი შეყელაშვილი წარადგენს.

ქეთი „მის საქართველო 2015“-ის მონაწილეა. მან სილამაზის კონკურსში ვიცემისის ტიტული მოიპოვა. ის 1,76 სანტიმეტრი სიმაღლისაა და პროფესიონალი მოცეკვავეა.

ქეთი ანსამბლ „ერისიონში“ ცეკვავს და ხელოვნებისა და კულტურული მეცნიერებების ბაკალავრია.

„მის მსოფლიო 2017“-ის ფინალური შოუ წელს ჩინეთში 18 ნოემბერს გაიმართება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ფულის კუპიურაზე ეგვიპტეში გატაცებული გოგონას წერილი აღმოაჩინეს

ეგვიპტეში ფულის კუპიურაზე აღმოაჩინეს წერილი, რომლის ავტორი შესაძლოა გატაცებული გოგონა იყო. ამ ინფორმაციას ერთი არაბული სააგენტო ავრცელებს.




10 ეგვიპტური ფუნტის ნომინალის კუპიურა, არაბულ ენაზე გაკეთებული წარწერით, ფეისბუქში მსჯელობის საგანი გახდა.

– მე მომიტაცეს და ჩაკეტილი ვარ ოთახში, – ნათქვამია წერილში, – ჩემი სახელია ჯეინა შოუკეტი.

ამ სიტყვების შემდეგ მითითებულია მისამართი.

პოლიციამ აღნიშნულ მისამართზე ბინა შეამოწმა, მაგრამ იქ საეჭვოს ვერაფერს მიაგნო. წერილში აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს ქალი შვილთან ერთად, ხოლო თავად ქალი იურისტად მუშაობს. ასევე ადამიანის გატაცება აღნიშნულ რაიონში არ დარეგისტრირებულა.

# სეიკომ ფარშევანგის მოყვარულებისთვის საათი გამოუშვა

საათების იაპონურმა ბრენდმა სეიკომ წარმოადგინა ახალი მოდელი პრემიალურ ხაზში გრანდ სეიკო – Grand Seiko Hi-beat 36000 GMT. ამ ინფორმაციას მწარმოებლის ვებგვერდი ავრცელებს.

საათის ციფერბლატი დაფარულია მწვანე ემალით და დეკორირებულია გილიოშეს ტექნიკით, რომელიც ფარშევანგის ბუმბულებს წააგავს. საათი მოდელის ახალ მოდიფიკაციად იქცა, რომელმაც 2014 წელს Petite Aiguille-ს პრიზი აიღო კონკურსში Grand Prix de Geneve.

საათი შეიქმნა კომპანია სეიკოს განყოფილებაში Shizukuishi Watch Studio, რომელიც მხოლოდ პრემიალური მექანიკური საათების შექმნითაა დაკავებული. საათი აღჭურვილია ავტომატური მექანიზმით და მოდელის მუშაობის რეზერვი ერთ დაქოქვაზე 55 საათამდეა.



აღნიშნული საათი შეზღუდული რაოდენობით, 700 ეგზემპლარად გამოვიდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

**ოთხშაბათი 18 ოქტომბერი**

**06.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **06.30** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 03.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30, 04.00** დღის მხ/ფ "**პური" სიყვარული და ფანტაზია**" (ჯ.ლოლობრიჯიდა) **14.15** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** დოკ/ფ "შექმნა თუ არა ღმერთმა სამყარო" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30, 05.25** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.40** ჩემპიონთა ლიგა.ჯგუფური ტურნირის მატჩი **00.40** მატჩის შემდგომი გადაცემა **01.10** მხ/ფ "**მწარე სიმართლე**" (ჯ.ბატლერი)

**06.30, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" 3 სერ. **22.00** პრაიმშოუ **23.30** მხ/ფ "**ტალღა**" **01.20** მხ/ფ "**ულტრა ამერიკელი**" **03.05** მხ/ფ "**ვიცი" რომ დაბრუნდები**" **04.45** მხ/ფ "**სისხლიანი მონანიება**"

**06.00, 18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** კომედი შოუ **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ავატარი 2" **09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-3**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-3**" **13.00** სერ. "**ძვლები 10**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები**" **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-3**" **21.00** სერ. "**სპირალი 4**" **22.30** მხ/ფ "**ეროვნული საგანძური**" **01.00** მხ/ფ "**რობოკოპი**" **03.00** მხ/ფ "**ქალი კატა**" **04.40** მხ/ფ "**მარსი გვიტევს**" **06.20** მხ/ფ "**პლუტო ნეშის თავგადასავალი**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 12.40, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 01.00** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.10** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** დ/ფ "ემიგრანტები" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** ინეტერვიუ ვანიჩკასთან **00.00** სერ. "**შავი სია**" **3.45** ცენზურის გარეშე

**7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40, 23.00** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** პოლიტმერტი **23.30** ღალატი

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.15** ქრისტიანული ხელოვნება "საქართველოს სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი" **2 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ზებრები და პითონი" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ეპოქა და ადამიანები "ამბროსი ხელაია" **12.05** ღია აუდიტორია **12.50** გაცოცხლებური წარსული "სიონის გუნდი" **13.30** ან/ფ "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "გლიპტიკა და მინანქარი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ისტორიიდან" **16.05** კონცერტი **17.15** ერთსულოვანი ოჯახი "ლაშხები" **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** ივერიის ეკლესია "საქართველო მოციქულთა ეპოქაში" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** მხ/ფ "**რაჭა ჩემი სიყვარული**" **20.35** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქვიშით ნაამბობი **21.35** ეპოქის სახელები **22.20** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**ბზიანეთი**" **23.40** დეკორატიული ფლორა "ზამიოკულკასი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** კონცერტი "ილ დივო"

**მაესტრო** **10.00 - 23.00** მთავარი თუმა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **22.00** ცეცხლის ხაზი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 ოქტომბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4826 |
| ევრო | 2.9305 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3029 |
| 100 რუსული რუბლი | 4.3371 |

## ამინდის პროგნოზი 18 ოქტომბრისთვის




## 3 ოქტომბრიდან




იორამ ჩადუნელი

# საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## ვანო ჯავახიშვილს ექიმებმა წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს




იუმორისტ ვანო ჯავახიშვილს ექიმებმა წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს. ამის მიზეზი ვანოს ჯანმრთელობის მდგომარეობაა.

უკვე ორი კვირაა, ვანოს შოუ ეთერში აღარ გადის. გავრცელებული ინფორმაციით, იუმორისტმა სავაჭრო ცენტრში გონება დაკარგა და დავარდა. მას ტვინის შერყევა აქვს და მკურნალობის კურსს სახლში გადის.

როგორც იუმორისტმა ალეკო მალხაზიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ვანოს შოუ ეთერში, სავარაუდოდ, არც ამ პარასკევს გავა. მისი ინფორმაციით, ვანო ჯავახიშვილი თავს კარგად გრძნობს, თუმცა წოლითი რეჟიმის გამო სამსახურში სიარულს ვერ ახერხებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ლესტერმა კრეიგ შექსპირი გაათავისუფლა



ლესტერის ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარი მწვრთნელი კრეიგ შექსპირი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ეს სამშაბათს მოხდა. შექსპირის გათავისუფლების მიზეზი ის შედეგია, რომელსაც წელს ლესტერი აჩვენებს. გუნდი 8 ტურის შემდეგ მე-18 ადგილზე იმყოფება და მხოლოდ ერთი მოგება აქვს.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს შექსპირის ადგილს. ლესტერი ამასთან დაკავშირებით განცხადებას უახლოეს დღეებში გააკეთებს.

## ტოტი: „ოქროს ბურთი კრიშტიანო რონალდუმ უნდა მოიგოს“



ფრანჩესკო ტოტიმ ოქროს ბურთის მოგების კანდიდატებზე ისაუბრა და, მისი თქმით, ამ ჯილდოს ყველაზე მეტად კრიშტიანო რონალდუ იმსახურებს.

ტოტის აზრით, შარშანდელ სეზონში რონალდუმ მესისა და ნეიმარს აჯობა.

– რონალდუმ შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და მისმა გუნდმა ყველა ტიტული მოიგო. გადამწყვეტ შეხვედრებში კრიშტიანო მოწოდების სიმაღლეზე იყო და რეალის გამარჯვებები დიდწილად მისი დამსახურებაა. ვფიქრობ, ის იმსახურებს ოქროს ბურთს, – განაცხადა ტოტიმ.

ოქროს ბურთის მფლობელის ვინაობა იანვარში გახდება ცნობილი.

## კავანი შესაძლოა პსჟ-დან წავიდეს



პსჟ-ს ურუგვაელი ფორვარდი ედისონ კავანი შესაძლოა გუნდიდან წავიდეს. ამის მიზეზი ნეიმართან კონფლიქტია.

ბოლო პერიოდში კავანიმ და ნეიმარმა თითქოს მოაგვარეს ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, ფრანგულ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ კავანის პსჟ-ში თამაში აღარ უნდა და სხვა ქვეყანაში აპირებს გადაბარგებას. მისი შეძენა საკმაოდ ბევრ გუნდს სურს, მაგალითად, მანჩესტერ იუნაიტედს, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს.

პსჟ-ში გადასვლამდე ედისონ კავანი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იტალიური ნაპოლის ღირსებას იცავდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

კაცი მიწას ღრმად თხრის. მეზობელი ეკითხება:

– რას თხრი?
– საფლავს.
– ვისთვის?
– სიდედრისთვის.
– კი მაგრამ, ასე ღრმად რა საჭიროა?
– სამჯერ ამომიხტა საფლავიდან...

●●●

ქუჩაში ერთი კაცი გამვლელს ეკითხება:

– უკაცრავად, რომელი საათია, ხომ არ იცით?
– კი, ვიცი.
– გმადლობთ.

●●●

შვილი ეზოდან დედას ეძახის:

– დედააა... დეეე... დედიკოოო... დედააა... აუუ... დეეე...

როგორც იქნა, დედამ გამოიხედა და ეკითხება:

– რა გინდა?
– მამას დაუძახე, რაა...

●●●

ბარში მჯდომ გოგოს ბიჭმა ჩაუარა. გოგომ თვალი გააყოლა. ბიჭი შემოუტრიალდა და ეკითხება:

– ერთი ნახვით შეყვარების გჯერა თუ კიდევ ერთხელ ჩაგიარო?

●●●

ბიჭმა და გოგომ რესტორანთან ჩაიარეს. გოგო ბიჭს ეუბნება:

– აუუუ, რა მაგარი სუნიააა...
– თუ გინდა, კიდევ ჩავიაროთ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემმა მეზობელმა ამერიკიდან ჩამოტანილი გენმოდიფიცირებული სიმინდი ქათმებს დაუყარა.
– მერე?
– ახლა მისი ქათმები კვერცხი დების დროს „კა-კა-კა-ს“ ნაცვლად „ოო, მაი გოთ-ს“ იძახიან.

●●●

მთვრალი მამაკაცი ღამის 3 საათზე მეგობარს ეძახის:

– გოგიიი... გოგიიიიი....

დაახლოებით ოცი წუთის ძახილის შემდეგ მეგობარმა გადმოიხედა ფანჯრიდან და ეკითხება:

– რა გინდა?
– გავალ და 15 წუთში მოვალ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 5 ოქტომბრიდან




# რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 10 ოქტომბრიდან

# ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## რას გადაურჩა ლაშა ღლონტი: „უძლიერესი ქარისა და ტურბულენტობის გამო ძლივს დავჯექით! მადლობა პილოტ ხარაიშვილს“



„უძლიერესი ქარისა და ტურბულენტობის გამო ძლივს დავჯექით! დიდი მადლობა ,,Airzena Georgia“ ს და პირადად პილოტს ბატონ ხარაიშვილს უდიდესი პროფესიონალიზმისათვის!“– წერს მომღერალი ლაშა ღლონტი ფეისბუქში.

ის ისრაელიდან მოფრინავდა, სადაც მაცხოვრის საფლავი მოილოცა.

## ნეიმარი: „მესი ყოველთვის ჩემი მეგობარი იქნება“




პსჟ-ს ბრაზილიელ ფეხბურთელ ნეიმარს ინტერვიუს დროს კითხვა მესიზე დაუსვეს, რაზეც ნეიმარმა თქვა, რომ მესი ყოველთვის იქნება მისი მეგობარი და მათ შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა.

– ბარსელონიდან იმიტომ წავედი, რომ ახალი გამოწვევები მინდოდა და არც ოქროს ბურთია ჩემთვის მთავარი. მესისთან ამ წლების განმავლობაში ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და ის ყოველთვის ჩემს მეგობრად დარჩება. არანაირი უთანხმოება ჩვენ შორის არ ყოფილა, – განაცხადა ნეიმარმა.

ნეიმარმა პსჟ-ს ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსებზეც ისაუბრა და თქვა, რომ ამის გაკეთება რეალურია.

## ლოვრენმა ლუკაკუ აგრესიულ ქმედებებში დაადანაშაულა




ლივერპულის მცველმა დეიან ლოვრენმა იმ ეპიზოდზე ისაუბრა, როდესაც მანჩესტერ იუნაიტედის ბელგიელმა ფორვარდმა რომელუ ლუკაკუმ მას ფეხი დააბიჯა.

ლოვრენის თქმით, ლუკაკუს შეეძლო, უფრო ფრთხილად ყოფილიყო, მაგრამ მან ეს არ გააკეთა.

– ლუკაკუმ არ აარიდა კონტაქტს თავი და ამით მას შეეძლო, ჩემთვის ტრავმა მოეყენებინა. მე ვხედავდი თამაშის დროს, რომ ის ძალიან ნერვიულობდა და თავის ქმედებებს ვერ აკონტროლებდა, – განაცხადა ლოვრენმა.

ლუკაკუმ თქვა, რომ მას განზრახ უხეშად არ უთამაშია.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3 ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს; 4. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ხეხილის ბაღი; 8. მარჯნის კუნძულის ან ატოლის შიგნითა წყლის სივრცე; 9. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ავღანეთის დედაქალაქი; 14. ღვინის ძველებური საწყაო; 16. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად**: 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 6. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 7. ცნობების გავრცელება რამის შესახებ მისი პოპულარიზაციის მიზნით; 9. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 13. კვერნისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 15. ავსტრალიური თუთიყუში; 17. მხატვრობის ერთ-ერთი ჟანრი; 18. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 19. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

